# საერთო გაზეთი

№33 (766)
ოთხშაბათი
2 ოქტომბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.




# რა ღირს დუმილი?




## საქართველო მშრალი ანგარიშით უგებს კრებსით დასავლეთს!..

## ცესკო – რადიკალების მთავარი სამიზნე

## ვალდაგასული პოლიტიკოსების ვალიანი მადლიერება

## დიპ-სტეიტი – მაფია დემოკრატიის ნიღბით

## გაეროში პლანეტის მომავალი განვითარების გეგმა შედგა

## ომი ან მშვიდობა! – უმთავრესი სწორედ ეს არჩევანია

# მსოფლიოს ერთიანობის უპრეცედენტო მაგალითი უნდა ვაჩვენოთ!



დღეს 1 ოქტომბერია...

თავისუფლების დაბრუნების დღე!

დღე, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს და ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობას. დღე, რომელიც გამოხატავს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მთავარ გამარჯვებას და ქართველი კაცის მიერ ღირსების დაბრუნებას!

2012 წლის 1 ოქტომბერი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია, ქართველი ხალხის არსებობის ერთ-ერთი მთავარი გამართლება, დღე, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს ქართულ გენს და წინაპართა მემკვიდრეობას - რამდენად ძლიერიც უნდა იყოს მტერი, შიდა თუ გარე, როდესაც საქმე ჩვენი ხალხის ღირსებასა და თავისუფლებას ეხება, უკან დასახევი გზა უბრალოდ არ არსებობს!

ღირსება და თავისუფლება ქართველი კაცისთვის წითელი ხაზია, რუბიკონი, რომელიც არ უნდა გადალახო, მაგრამ თუ მაინც გაბედავ, რომ ამ მდინარეში შესცურო, ქართველი ხალხის, საქართველოს შვილების ერთიანობის ძალა წაგლეკავს!

1 ოქტომბერი არ ეკუთვნის რომელიმე პარტიას, რომელიმე ადამიანს, 1 ოქტომბერი ეკუთვნის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც ამ საოცარი ერთიანობით, „ქართულ ოცნებასთან" ერთად, ქვეყანას ჩამორეცხეს სამარცხვინო შავი ლაქა, რომელიც არ გვაძლევდა საშუალებას თავისუფლად ამოსუნთქვის, აზრის გამოხატვის, სიმართლისთვის ბრძოლის, ღირსეულად ცხოვრების, ოჯახსა და ახლობლებზე ზრუნვის, მუშაობის, ბიზნესის კეთების, განათლების მიღების და სიბერის ღირსეულად გატარების.

პატრიოტიზმი მხოლოდ იარაღით ხელში სამშობლოს დაცვა როდია, ყველაფერთან ერთად, ესაა გამბედაობა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ყველაზე რთულ მომენტში აიმაღლო ხმა, სწორედ მაშინ, როდესაც ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს!

ჩვენ გავბედეთ!

შეუძლებელი შევძელით და თუკი 2011 წელს, პოლიტიკაში ჩემი მოსვლის მომენტში, ხალხს ქუჩაში გამოსვლის და შეკრებისაც კი ეშინოდა, 2012 წლის 29 სექტემბერს, როგორც მინიმუმ ნახევარი მილიონი პატრიოტი მოეფინა თბილისის ქუჩებს, რათა ყველასთვის გვეჩვენებინა, რომ არავის და არაფრის გვეშინია, 1 ოქტომბერს კი, ქუდზე - კაცი მივედით საარჩევნო ყუთებთან და არა მხოლოდ გადავრჩით, არამედ გავიმარჯვეთ!

**პატრიოტიზმი მხოლოდ იარაღით ხელში სამშობლოს დაცვა როდია, ყველაფერთან ერთად, ესაა გამბედაობა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ყველაზე რთულ მომენტში აიმაღლო ხმა, სწორედ მაშინ, როდესაც ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს! ჩვენ გავბედეთ!**

ამ ერთიანობის ძალით შევძელით ბოროტების - სიკეთით, ხოლო სიცრუის სიმართლით, უსისხლოდ დამარცხება.

სწორედ ჩვენი ხალხის ამ უპრეცედენტო ერთიანობას ვერ აღუდგნენ წინ იმჟამინდელი რეჟიმი და მათი უცხოელი პატრონები!

ამიტომაც, ეს დღე ჩვენი სიამაყის საერთო საფუძველია! ნიშანი და სიმბოლო საქართველოს მოქალაქეების ერთიანობისა და ამ ერთიანობის ძალისა!

ეს დღეც ჩვენია, როგორც 26 მაისი, როგორც 9 აპრილი!

ამ ყველაფრისთვის სამშობლო თქვენი მადლიერია, მადლიერი ვარ მეც, როგორც თქვენი თანამებრძოლი, ქართველი კაცი!

ვსარგებლობ დღევანდელი შემთხვევით და მადლობას ვუხდი „ქართული ოცნების" თითოეულ წევრს, თითოეულ თანამებრძოლსა და მხარდამჭერს. მადლობა ყველას, ვინც პირველ ოქტომბერს ჩვენთან ერთად უშიშრად დადგა, გასული 12 წლის განმავლობაში, ჩვენთან ერთად ღირსეულად იარა დანაღმულ ველზე და გაუძლო ყველანაირ ზეწოლას, რათა დღეს ისევ ჩვენ გვერდით ყოფილიყო!

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ისტორიის ჩარხი - წაღმა დატრიალდა. არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი დავამარცხეთ და ქვეყანა დავიბრუნეთ, არამედ, ამ დღიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრინციპულად გავაუმჯობესეთ მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, იქნება ეს ადამიანის უფლებები, სასამართლო, ეკონომიკა თუ სხვა.

ამას არა მხოლოდ ჩვენი სიტყვა და ის კეთილდღეობა ადასტურებს, რასაც ჩვენი მოქალაქეები საკუთარ თავზე გრძნობენ, არამედ ამას მოწმობს საერთაშორისო რეიტინგები, რომლებშიც ჩვენი ქვეყანა წინ და წინ მიიწევს!

არ არსებობს თუნდაც ერთი სფერო, რომელზეც ყველაზე მიკერძოებული ადამიანიც კი იტყვის, რომ 2012 წლამდე იყო კარგად, ხოლო 2012 წლის შემდეგ გაუარესდა. ეს არის ფაქტობრივი მოცემულობა, რომლის დამალვას, დამახინჯებას და იგნორირებას ცდილობენ ჩვენი ოპონენტები, მაგრამ ქართველი ხალხი ყველაფერს ხედავს.

ეს ხელშესახები პროგრესი, რასაც ყველა ვხედავთ, არა მხოლოდ ჩვენი მონდომებისა და ძალისხმევის, არამედ იმ ბეწვის ხიდზე სწორად სიარულის შედეგი გახლავთ, რომელზეც მთელი განვლილი 12 წლის განმავლობაში ვიარეთ და დღემდე ვაგრძელებთ სვლას.

დიახ, ბოლო დრომდე ვცდილობდით ამ თემაზე საჯაროდ არ გვესაუბრა, რათა მოსახლეობა არ დაგვეთრგუნა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული - დღემდე, საქართველოს და „ქართული ოცნების" ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, რათა გარე თუ შიდა მტრების მხრიდან მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში, ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შევინარჩუნოთ და არ დავუშვათ ის, რაც ჩვენს მეზობელ უკრაინაში ხდება, ის, რაც 2008 წელს გამოვიარეთ. არ დავუშვათ, რომ ჩვენი ქალაქების, სოფლების და ჩვენი შვილების თავზე ცეცხლის წვიმა მოდიოდეს!

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ბეწვის ხიდზე სიარულისას, ბრძოლის მთავარი ხაზი გადიოდა ჩვენს დამოუკიდებლობაზე, მშვიდობაზე, თავისუფლებაზე, ჩვენი რწმენის, კულტურის, ისტორიის და იმ ფასეულობების დაცვაზე, რისთვისაც 2012 წლის 1 ოქტომბერს გავერთიანდით!

ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა შეძლო, რომ ამ ბეწვის ხიდზე საქართველო და ჩვენი მოსახლეობა გამარჯვებით, 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობით ეტარებინა, და ახლა, როცა ამ რთული გზის ბოლო მონაკვეთს გავდივართ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ერთიანობის უპრეცედენტო მაგალითი და 26 ოქტომბრის არჩევნებზე ქუდზე-კაცი გამოვიდეთ, რათა ვერავინ ვერასდროს გაბედოს, რომ იოტისოდენა ეჭვი მაინც შეიტანოს „ქართული ოცნებისადმი" საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაში. ვერავინ შეიტანოს მცირეოდენი ეჭვი იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობა ირჩევს არა ომს - არამედ მშვიდობას; არა უცხო ქვეყნის აგენტებს, არამედ ქართველი ხალხის ინტერესების დამცველ გუნდს; არა ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებს, არამედ ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს; არა იმ კატეგორიულად მიუღებელ მოცემულობას, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ, არამედ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალს!

ამიტომაც, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, „ქართულმა ოცნებამ" საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. საკონსტიტუციო უმრავლესობა იმისთვის, რომ:

ჯერ არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს, ხოლო შემდეგ კანონის მთელი სიმკაცრით გასამართლდეს კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა", რეჟიმი, რომელმაც საკუთარ მოსახლეობას ტერორი, მკვლელობა, წამება არ აკმარა და ომის ქარ-ცეცხლი დაატეხა თავს;

იმისთვის, რომ საქართველოს - ჩვენი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მართავდეს და არა უცხო ძალების აგენტებით დაკომპლექტებული კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა";

იმისთვის, რომ ერთად ავისრულოთ დიდი ხნის ნატვრა და მშვიდობის გზით, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საფუძველზე, კვლავაც გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო;

იმისთვის, რომ სამუდამოდ დავასრულოთ ოჯახის, ეროვნულობის, რწმენის შეურაცხყოფის და დაკნინების მუდმივი მცდელობები და მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის, მისი გაძლიერებისა და დაცვის მიზნით, კონსტიტუციაში ავსახოთ მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის როლი!

ასე რომ, 26 ოქტომბერს, დღის წესრიგში არა პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის, არამედ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას!

უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას დამოუკიდებელი და მშვიდობიანი საქართველო დავუტოვოთ, ამიტომაც, 26 ოქტომბერს კვლავ უნდა გავერთიანდეთ და გავიმარჯვოთ!

ჩვენი ერთადერთი გზა არის მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ!

გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ და გაბრწყინებულ საქართველოს!

# საქართველო მშრალი ანგარიშით უგებს კრებსით დასავლეთს!..

„მივესალმები ჩემი ქვეყნის მეგობრებს!“ — ასე დაიწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი კობახიძემ თავისი გამოსვლა გაერო-ს მაღალი ტრიბუნიდან, რაც ისეთი შეცდომა იყო, მალევე რომ იჩენდა თავს და ასეც მოხდა.

„მივესალმები ჩემი ქვეყნის დაუძინებელ მეგობრებს!“ — ასე უნდა დაეწყო და ყველაფერი წესის მიხედვით გაგრძელდებოდა. დაიბნა დამსწრე საზოგადოება და დაიბნა მაყურებელი ხალხიც, ვერ გაიგეს, ვის ესალმებოდა, ვინ იყვნენ მისი ქვეყნის მეგობრები. ყოველ შემთხვევაში, არ ჩაუთვლიათ რომ მათ მიესალმა და იფიქრეს, ვისაც მიესალმა, სადილზეც იმან დაპატიჟოსო. ასე რომ, იქითა მხარეს ბრალს ვერ დავდებ არასტუმართმოყვარეობაში.

არ მიაჩნიათ თავი საქართველოს მეგობრად და ძალაა?

ისინი, ვინც საქართველოს პრემიერი სამი დღით ადრე ჯერ მიიწვია სადილად, მერე კი გადაიფიქრა, საქართველოს მეგობრები არასდროს ყოფილან და არც არასდროს გახდებიან. ისინი ყოველთვის და ყველგან კონკრეტული პირების მეგობრები არიან, ისიც, ჟამიდან ჟამამდე და, შესაბამისად, ასეთი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მიმართაც.

დაუძინებელი მეგობრობა რომ გვერდზე გადავდოთ, ისედაც, რა იციან იმ გადამთიელებმა, რა არის ან მეგობრობა, ან სტუმარმასპინძლობა „ვეფხისტყაოსანზე“ გაიზარდნენ, თუ ვაჟას „სტუმარ-მასპონძელზე“... — რა გვეშველება, დარჩა სრულიად „ოცნება“, პრემიერი და ქართველი ხალხი სიაფანდი სადილ-ვახშამის გარეშე!

კრებსითი საბრალონი!

ჩაშლილ-ჩაშავებულ უბედურ ოპოზიციას რომ ველარსაიდან უბერავენ სულს, ასეთი იაფფასიანი და, შესაბამისად, სამარცხვინო ტრიუკებით უწევენ სატოპკეს? ტოპკის აწევას ტოპკის დამრტყმელი უნდა და რა ქნან ამ ჩაჩურებმა, პოლიტიკურად დაფეხვილებმა რანაირად უნდა შეინავარდონ პოლიტიკურ სივრცეში? დგანან ახლა და აბლა სეთურის მრევლის „პოლიქრონიონის“ სტილში იმღერებენ: „ოცნების“ ხელისუფლება და პრემიერი კობახიძე საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდნენ“, რასაც, რატომღაც, ბოლოში სამგლოვიარო „ვოი!“ დაერთვის, თუმცა, სხვების დასანახად ყველის იმერელი ვაჭრებივით იღრიჭებიან.

საკუთარი ქვეყნის მავნებელი რომ იქნება ადამიანი, თორემ თუნდაც ასეთი ქლიავობა, რაც იმ ცუნდრუკებმა მოიმოქმედეს, რატომ უნდა გიხაროდეს? მაინც არ შველით ერთჯერადი პოლიტ--ჰუმანიტარული დახმარებები და რატომღა იბიჯებენ კუდზე ფეხს, ვერაფერი გამიგია.

რაც შეეხება საერთაშორისო იზოლაციას — მართლა ასე რომ იყოს, მაშინ ასე შეშფოთებულ-აღშფოთებულები კი არ იქნებოდნენ გაღმა-გამოღმა... ისე კი, „საერთაშორისოებში“ ვინ იგულისხმებიან, აშშ და მისი გოშია ქვეყნები? ნეტავ, მართლა შესაძლებელი იყოს მათი მავნე ნაწილისგან იზოლირება...

ეს ჩვენი ბატონი პრემიერიც რა კარგი ვინმეა, გადმოდგა ტრიბუნიდან და რაჭული სიდინჯით თავზე გადაუგლისა ადგილზე მსმენელებს, მერე რა, რომ ფართობით და რიცხობრივად დიდი და მეტნი ხართ, არ დაგავიწყდეთ, თქვენ რომ ჯერ საერთოდ არ არსებობდით, ჩვენ ვინ ვიყავითო;

თქვენ რა იცით მშვიდობისა და ღირსების ფასი, ჩვენ კი, მრავალომგამოვლილებმა, ზედმიწევნით კარგად ვიცით და დღესდღეობითაც მაგ ცოდნით გვიდგას სულიო;

თქვენ, ძალიან პატივცემულებო, ხომ არ გგონიათ, რომ არ ვიცით, ან ვიცით და ვერ შეგახსენებთ, რომ საქართველო სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო გლობალურ ეკონომიკურ პროცესებშიო;

თქვენო, მგონი, დაგავიწყდათ და შეგახსენებთ მსოფლიოს ყველა იმ ამბიციურ პროექტს, რომელთა მიმდინარეობა უახლოეს მომავალში დაიწყება აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, რაც საქართველოს მნიშვნელობას განუზომლად გაზრდის;

ამ გახსენებაზე, ბარემ იმ მონაცემებსაც შეგახსენებთ, რომელიც თქვენივე ორგანიზაციების მიერ არის შემუშავებული და შეფასებულიცო და ჩამოთვალა, რომლითაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ადამიანის უფლებათა დაცვის, მედიათავისუფლების, კორუფციასთან ბრძოლის, სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემების საიმედოობით, საქართველო მსოფლიოში მოწინავე პოზიციებს სტაბილურად ინარჩუნებს მათი მუდმივი ზრდის ტენდენციებთან ერთად.

ბატონ პრემიერს ყანწი არ ეკავა ხელში, თორემ, ფაქტობრივად, მშვიდობის სადღეგრძელო თქვა, როცა საქართველოს მეზობლები და საქართველოს ახალი სტრატეგიული მოკავშირეები ახსენა მათთან მშვიდობისა და ეკონომიკური სტაბილურობაში შეტანილ წვლილთან ერთად.

ძალიანაც არ უნდოდათ მოსმენა, მაგრამ მაინც მოისმინეს, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობაზე დაფუძნებული საქართველოს მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით.

აბა, როგორი მოსასმენია ამეების ლაპარაკი იმ პირებისთვის, რომელთა თავებში საარჩევნო კონკურენტისა თუ, უბრალოდ, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე ტერაქტების დაგეგმვაა წინა პლანზე გადმოწეული. ამასთანავე, ამოჩემებულ ქვეყნებში „ფერადი რევოლუციების“, ან სულაც, სამოქალაქო ომების ან, უბრალოდ, ომების წამოწყება და, შესაბამისად, თავები უხურთ?

ამეების მოსმენა უნდოდა იმ ხალხს, რომლებიც იმაზე არიან გაფაციცებულები, საქართველოში როგორმე არეულობა მოაწყონ და ხელისუფლება სათავისოდ შეცვალონ?

რა უთხრა ბატონმა კობახიძემ მათთვის საამებელი იმ ხალხს, რომლებსაც საქართველოში ჯერ არჩატარებულ არჩევნებზე კრიტიკულად უარყოფითი დასკვნები წინსწრებით უკვე დაწერილი აქვთ და მხოლოდ 26-27 ოქტომბრის დადგომას ელიან, რომ გამოამზეურონ?

როგორი მოსასმენია ეს ყველაფერი და როგორი დასანახია ის რეალობა, რაც საქართველოშია — აქამდე ეს ბოროტი გვრიტები ხეს ფლობდნენ და ახლა მხოლოდ იმ ხის ტოტზე რომ სხედან და ხელის ერთი აქნევაღაა საჭირო, რომ დიდი ხნით დაავიწყდეთ მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობის მატარებელი საქართველო?

ჰოდა, რაღაც დაემართათ უცბად, მეტისმეტისგან რეტისრეტი თუ კიდევ უფრო უარესი, ვერ მივხვდი, მაგრამ სენატში დაგეგმილი მორიგი სამარცხვინო მეგობრობის აქტის „ქართველი ხალხის აქტის“ განხილვა გაურკვეველი ვადით გადაიდო. როგორც ჩანს, იმ აშშ-შიც მოიძევებიან მეტ-ნაკლებად მოფიქრალი თავები და ცეცხლზე ნავთის დასხმას ადგილზევე ვეტო დაადეს.

ნეტავ, ესენი ამ თითიდან გამოწოვილ აქტებს და ტერმინებს არ იგონებდნენ!

იმისი არ იყოს, მაპ-ზე უკეთესი ხომ გვაქვს და ნატო-ში ვართ ასპირანტურაში, ოღონდ ნატო-ს გარეთ; ევროკავშირის კარი ღიაა, მაგრამ შესვლა არ შეიძლება და მისთანები.

რა ქართველი ხალხის აქტი, მეგობრობა აქტებით დგება?

კარგი, მათთვის მეგობრობა ფურცელზე დაწერილი აქტია, ასე იყოს, ხანგაშვებით გაიხარონ, მაგრამ ნეტავ, იმ „მეგობრობის აქტში“ სინამდვილეში რა ეწერა?

„მთავარს“ თუ დავუჯერებთ, „ქართველი ხალხის აქტი“ ვითომ დემოკრატმა სენატორებმა, ჯინ შაჰინმა და რესპუბლიკელმა ჯიმ რიშმა რომ შეიმუშავეს, ქართველი მაღალჩინოსნების სანქცირებასა და ქართველი ხალხის მხარდაჭერას გულისხმობს.

სი-ენ-ენ-ს თუ დავუჯერებთ, მხოლოდ ქართველი ხალხის მხარდაჭერას გულისხმობს.

ვაჰ, როგორი მოსაწყენია მავანთა მხარდაჭერა, როცა ქართულად ოცნებობ და იცი, რომ მხარს კი არ გიჭერენ, კვანტს გიდებენ...

ამ შარ-ხათაბალა ხალხის გადამკიდე იმასაც კი ვფიქრობ, ჩვენს პრემიერს რაღაც ფარცაგი ხომ არ ელოდა იმ სადილზე და „ქართველი ხალხის აქტის“ გადაქაჯვასთან ერთად, ის „ფარცაგიც“ ხომ არ გადაიფიქრეს და, უბრალოდ, სულაც უარჰყვეს პერსონა კობახიძე? რა ვიცი, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, მით უფრო, როცა გაფრთხილებულია, ჭკუით იყავი, თორემ, შესაძლოა, ფიცოს ვარიანტს გამოჰკრა ხელიო და მაინც არ იქცევა მათი ჭკუის მიხედვით...

როგორ არ მიყვარს ლიტონი სიტყვები „დიალოგს ალტერნატივა არ აქვს“, ნეტავ, ვინმემ იცოდეს. დიალოგს ვერაფერი შეცვლის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დიალოგი ორივე მხარეს სურს და საერთო ინტერესები მკვეთრად იკვეთება, თორემ, თუ მონოლოგად უნდა იღუღუნოს ორივე მხარემ ნაძალადევად, ეს დიალოგი არ არის და ალტერნატივაც აქვს — არ მსურს დიალოგი!

რის შესახებ უნდა „ედიალოგო“ ამ ეტაპზე აშშ-ს, რომელსაც მხოლოდ ერთი გამოკვეთილი მიზანი აქვს — საქართველოში ხელისუფლების შეცვლა! ეს რა მიზეზების გამოც უნდა, ეს უკვე ამ მიზნიდან გამომდინარე ქვედინებებია. და კიდევ, როდემდე უნდა ვიძახოთ „სტრატეგიული პარტნიორი“ ფაქტობრივ მოწინააღმდეგეზე, რომელმაც ნიღაბი ჩამოიხსნა და მტრული სახე გამოაჩინა?!

არჩევნები კარზეა მომდგარი და ყველა ბურთივით ხტის, ერთადერთი „ქართული ოცნებაა“ ქარქაშში ჩაგებული ხმალივით, დინჯად, უხმაუროდ აკეთებს თავის საკეთებელს, არც დუჟი ერევა და არც ხავის. ახლა სიტყვა მხოლოდ ხალხზეა, ხალხი გადაწყვეტს, რა ტიპის პოლიტიკა, ხელისუფლება და მომავალი უნდა. დოკუმენტად დევს ვოლოდიმირ ზელენსკის ყურადსაღები სიტყვები, ნაციონალები (მიშა) რომ ყოფილიყვნენ საქართველოს ხელისუფლებაში, საქართველო გვერდზე დაგვიდგებოდა, ომს წამოიწყებდა რუსეთთანო.

არსად, არცერთ ქვეყანაში ხალხს ომი არ უნდა. არც ქართველ ნაციონალებს უნდათ ომი, მაგრამ მიშა უნდათ და მიშას გამო ომზეც თანახმა არიან, ამის იქით ველარ მიდის მათი გონება. ამ კონტინგენტს ომი ის ჰგონია, 2008 წლის აგვისტოში მიშამ ხონჩით რომ მიართვა რუსებს ახალგორის რაიონი და სამ დღეში ყველაფერი დამთავრდა. ამ დამოკიდებულებაში ემთხვევა ერთმანეთს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და აშშ-ის „მიშასმოყვარულთა საზოგადოების“ ისრები, თორემ ცალ ფეხზე ჰკიდია ამერიკის სინედრიონს ქართველი ხალხიცა და მათი მხარდაჭერაც.

არ ასვენებთ ამერიკაში დავანებული ევროპელი კონკისტადორ-კონკისკადორების შთამომავლებს ვიცლი-პუცლი...

თქვენი არ ვიცი და, ჩემი ხედვით, საქართველო ჯერჯერობით მშრალი ანგარიშით უგებს კრებსით დასავლეთს!..

**ზურა ოხერელი**






# გაეროში პლანეტის მომავალი განვითარების გეგმა შედგა



*გვესაუბრება „იქსნიუსის“ დამფუძნებელი მირიან ყარაულაშვილი:*

**— ბატონო მირიან, ორიოდე დღის წინ „ქართული ოცნება“ თელავის მოსახლეობას შეხვდა...**

— დიახ, დიდი პატივისცემით მოგესალმებით თქვენ, „საერთო გაზეთის“ გამომცემელს, რედაქტორს, ერთგულ მკითხველს. ეს შეხვედრა ალავერდობის დღესასწაულზე შედგა, რასაც ქართველი ქრისტიანების გარდა, კახეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის ადამიანებიც ზეიმობენ. ალავერდობის მადლი ფარავდეს საქართველოს. პირადად მე რამდენიმე რეგიონულ შეხვედრას დავესწარი, მათ შორის, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. ყველგან მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი დაესწრო, თუმცა, ამ მხრივ თელავში შეკრებილთა ოდენობამ რეკორდი მოხსნა — მოედანი, სადაც ერეკლეს ძეგლი დგას და თელავის თეატრის მიმდებარე ტერიტორია ხალხით იყო გადაჭედილი, რაც ამომრჩევლის ნების გამოხატულება იყო. მჯერა, კახეთის მოსახლეობა ღირსეულ გადაწყვეტილებას მიიღებს და არჩევანს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გააკეთებს. არასდროს დამიმალავს, რომ ამ პოლიტიკური მოძრაობის მხარდამჭერი ვარ და მუდამ ასე იქნება, სანამ სხვა, უფრო ღირსეული ძალა არ გამოჩნდება. ახლო მომავალში ასეთ ალტერნატიულ ძალას ვერ ვხედავ.

თელავში გამართულ შეხვედრაზე ბატონმა ბიძინამ ვენახებსა და დამუშავებულ მიწებზე გაამახვილა ყურადღება. მიწათმოქმედების საკითხებში დიდად გათვითცნობიერებული არ ვარ, მაგრამ ვადასტურებ, რომ კახეთში დაუმუშავებელი მიწა აღარ არსებობს. ვენახების გაშენება ელიტური საქმიანობა გახდა. ფაქტობრივად, აღარც არსებობს ცარიელი მიწა, სადაც შეიძლება ვენახი გაშენდეს. ივანიშვილმა აღნიშნა: ჩვენ შევძელით ის, რომ კახელმა გლეხმა ვენახის გაჩეხვა შეწყვიტაო. ხომ გახსოვთ ტელევიზიით გადმოცემული სიუჟეტები, გლეხები — ზოგი ყვარელში, ზოგი გურჯაანში ვენახებს რომ ჩეხდნენ, საკომპენსაციო თანხებს იღებდნენ და ამას ოპოტელევიზიები სიხარულით აშუქებდნენ. ეს 2008-2010 წლებში ხდებოდა.

აქვე ცოტა სხვა მიმართულებით მინდა მკითხველის ყურადღება მივიქციო. საქართველოს მოსახლეობამ ბოლო 30-40 წელია, რაც განათლების მიღებაზე ნებაყოფლობით თქვა უარი. ადამიანებს წიგნის წაკითხვა აღარ უნდათ. სამწუხარო ის არის, რომ ეს მათივე ნებით ხდება და არა დაძალებით. ძალიან ცოტა ადამიანი კითხულობს წიგნს, ეცნობა სერიოზულ ანალიტიკურ მასალებს, ცდილობს მიმდინარე პროცესების გაანალიზებას. ტიკ-ტოკისა და ფეისბუქის სამყარო განათლების მიღების სივრცე არ არის. დღევანდელი მოსახლეობა: ახალგაზრდებიც, ხანდაზმულებიც, ბავშვებიც ინფორმაციას მხოლოდ ტიკ-ტოკისა და მსგავსი სოციალური ქსელების მეშვეობით იღებენ. განათლება წიგნის წაკითხვით უნდა მიიღო.

**— გაერო-ს 79-ე სესიაზე, სადაც მსოფლიოში მშვიდობის, უსაფრთხოების მხარდაჭერაზე მსჯელობდნენ, სიტყვით ჩვენი პრემიერიც გამოვიდა...**

— გაერო-ს 79-ე სესიის პარალელურად, განვითარებული, განვითარებადი და სუპერ სახელმწიფოების მონაწილეობით სამიტი გაიმართა. ამ შეხვედრის ორგანიზატორები გერმანიის კანცლერი და ნამიბიის პრეზიდენტი იყვნენ. ჩემი აზრით, ეს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მცდელობა იყო. ფაქტობრივად, პლანეტის მომავალი განვითარების გეგმა შედგა. ყველას მოვუწოდებ, სამიტზე გამოქვეყნებულ მასალებს ყურადღებით გაეცნონ. რაც შეეხება პრემიერ კობახიძის გამოსვლას, მან საკმაოდ სწორი გზავნილები გააჟღერა როგორც მსოფლიო საზოგადოების მისამართით, ისე ქართველი მოსახლეობისთვის. კობახიძემ გაერო-ს ტრიბუნიდან, ჩატეხილი ხიდის აღდგენის თაობაზე, აფხაზ და ოს და-ძმებს მიმართა, რასაც სავსებით ვიზიარებ. დადგა დრო, როცა პრაგმატულად უნდა ვიაზროვნოთ და არა ილუზიების, რომანტიკის დონეზე. ჩვენი ისტორია, წარსული უნდა გავიხსენოთ და გავაანალიზოთ: რა გზა გაიარა ჩვენმა ქვეყანამ, ასევე, ამ ტერიტორიაზე არსებულმა სახელმწიფოებმა და როდის იყო ბოლოს ყველაზე ძლიერი საქართველო. ოპონენტები ხშირად იხსენებენ, შიდა ქართლში ბიძინა ივანიშვილის გამოსვლას ოს და აფხაზ და-ძმებთან შერიგებისა და მათ წინაშე იმ დანაშაულის აღიარების შესახებ, რაც ჩადენილი გვაქვს. დიახ, მათ წინაშე დანაშაული ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს ჩავიდინეთ, როცა საქართველოდან ოსი მოსახლეობა, ფაქტობრივად, გააძევეს. ეს ხომ დამალული არავისთვის არის. რა ბედი ეწია კახეთში არსებულ ოსურ სოფლებს? თელავის, ახმეტის რაიონში იყო სოფლები, სადაც ოსი მოსახლეობა ცხოვრობდა. სად არის დღეს ეს მოსახლეობა? შემთხვევით, დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში — ალანიაში ხომ არ წავიდნენ?! და ვისი ბრალია, რომ ეს ხალხი იქ გადასახლდა? ოსები მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააქცია. იმ დროს არც ბიძინა ივანიშვილი იყო და არც ირაკლი კობახიძე, მაგრამ ამჟამინდელი ხელისუფლება ამ პასუხისმგებლობას იზიარებს. ამიტომ ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ არასწორი საქციელის გამო ბოდიში მოვიხადოთ. საერთოდ, ბოდიშის მოხდა ღირსეული ადამიანის საქციელია.

**— ლავროვმა განაცხადა...**

— არ ვიცი, ლავროვმა ამჯერად რა განაცხადა, მაგრამ ზოგადად, არ მგონია, მან ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ რაიმე თქვას. მათ ინიციატივებს, გამონათქვამებს ყოველთვის ისე ვუყურებ, როგორც ნაცების წისქვილზე წყლის დასხმას. მიმაჩნია, რომ „ნაცმოძრაობა“, რომელმაც საქართველოს მომავალი გაანადგურა, ამჟამინდელი რუსული ხელისუფლების წიაღში შობილი ძალაა.

**— ბაიდენმა კობახიძეს მოსაწვევი გაუუქმა. რას უკავშირებთ ამ ქმედებას?**

— მას მერე, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა, ყოველი სესიის შემდგომ აშშ-ის პრეზიდენტი მეუღლესთან ერთად, როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი, ტრადიციულად თეთრ სახლში ვახშამს მართავს. სიმართლე გითხრათ, ამ შეხვედრას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. თუმცა, რა თქმა უნდა, საწყენია, როცა ადამიანს იწვევ და მერე უარს ეუბნები. ეს უხერხულია როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე პირადი ურთიერთობის კუთხითაც. მსგავსი „წაკბენები“ ბოლო დროს არაერთხელ ვიხილეთ — ელჩებმა დაიწყეს და ბაიდენმა დააგვირგვინა. მას საკუთარ ქვეყანაში ძალიან უჭირს. აშშ-ის საარჩევნო კამპანიას თუ დავაკვირდებით, საკმაოდ რთული მდგომარეობაა. პირადად მე 6 ნოემბრის დილას შიშნარევი მოლოდინით ვუყურებ. ერთია, რომელი მხარე მოიგებს და მეორეა ამ არჩევნებში გამარჯვება. ხისტი ბრძოლა მიდის, არცერთი მხარე თავის განწყობას არ მალავს. მეშინია, ამ ყველაფერმა აშშ გაუთვალისწინებელ შედეგამდე — მწვავე შიდა დაპირისპირებამდე არ მიიყვანოს.



**— ბატონო მირიან, უცხოელი მაღალჩინოსნები ქართველ თანამდებობის პირებს რომ არ უნდა შეხვდნენ, ეს მაკკეინის ინსტიტუტის ანგარიშშიც აისახა...**

— ლორა თორდტონთან ერთად ამ დოკუმენტის სულისჩამდგმელი ქართველი თანაავტორი ქალბატონი სართანია გახლავთ, რომელმაც აღნიშნულ ანგარიშს ინტელექტუალური სპონსორობა გაუწია. ეს ანგარიში მაისის ბოლოს გამოქვეყნდა. სახეზე გვაქვს საარჩევნო პროცესის წინასწარ დისკრედიტაციის მცდელობა და მოსახლეობაში არჩევნების შედეგებისადმი უნდობლობის დათესვა. მსგავსი დოკუმენტები სხვაც ბევრი გამოქვეყნდება.




**— „ჰოლივუდის“ სკანდალზე რას გვეტყვით?**

— ეს თემა გუშინ არ დაწყებულა, მაგრამ ახლა საარჩევნო პროცესთან ერთად გამწვავდა. სი-ენ-ენ-მა ჯერ კიდევ ორი წლის წინ გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც პაფ დედი სასტუმროს დერეფანში ქალს ცემს. საჩივრის საფუძველზე ჩხრეკა ჩატარდა. ამჟამად ეს საკითხი აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა წამოსწია. ჩვეულებრივი საარჩევნო პროცესია. ჰოლივუდის გარშემო ატეხილი სკანდალი სულაც არ მიკვირს. ეს ერთ-ერთი მანკიერი მხარეა იმისა, რაც პლანეტას ბოლო 30-40 წლის განმავლობაში დაეუფლა ფსევდოლიბერალების პოლიტიკაში აღზევებით. საქმე მხოლოდ პოლიტიკას როდი ეხება. შევხედოთ, რა ხდება აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებში. ცნობილი რეიტინგული სასწავლებლების ლექტორები, ხელმძღვანელი პირები ყველა მემარცხენე ფსევდოლიბერალური ძალების წარმომადგენელია. ჩვენთანაც იგივე ხდება. გადავხედოთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს, თუნდაც, ილიაუნს, რომელსაც მე „თევზაძის შკოლას“ ვეძახი, ასევე მის ქოლგის ქვეშ გაერთიანებულ სასწავლებლებს, პროფესურას, სტუდენტებს და ყველაფერი ცხადი გახდება. ჰოდა, ამერიკული შოუბიზნესი რატომ იქნება გამონაკლისი? პირიქით, ის ამ პროცესის მებაირახტრეა.

**— ოპოზიციურმა პარტიებმა სიები გამოაქვეყნეს. გვარამიამ ასპარეზი „ახალ“ სახეებს — მელიას, გირჩი-ჯაფარიძეს და ლიაკას დაუთმო...**

— ღმერთმა შეარგოთ ერთმანეთის ახალი სახეები. მელია და ლიაკა ახალი კი არა, კარგად დავიწყებული ძველია. თუმცა მოსახლეობას საკუთარ თავს არ ავიწყებენ. ყველა მათგანი ნაცების სიაში დაბადებული, აღზევებული და იმ პერიოდში სხვადასხვა არაკანონიერი საქმიანობით გამდიდრებული სახეა. მათი უბედურებაც ეგ არის, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ახალი სახეების მოძიება ვერ შეძლეს. მოსახლეობამ იცის, რასაც წარმოადგენენ. რაც შეეხება გვარამიას, რომელიც სხვის ზურგს ამოეფარა, შენზე უკეთეს ხომ მაინც უნდა ამოეფარო, რათა მან შენი პრობლემები დაფაროს, მაგრამ ერთმანეთზე უარესები არიან, ღმერთმა შეარგოთ ერთმანეთის თავი, სიახლეც და სიძველეც. აქამდე ამ ვითომ სხვადასხვა კოალიციებს ყველას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ერქვა. ახლა გაერთიანებული დაირქვეს. ამით რა იცვლება? ერთმანეთზე უარესი ნაძირლები არიან.

მინდა გითხრათ, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის „ქართული ოცნება“ კარგად მოემზადა. სიაში ბევრი ახალი სახეა. აქვე ერთსაც დავამატებ, საქართველოს პირობებში ყოველთვის მხოლოდ პარტიული სიებით არჩევნების ჩატარების წინააღმდეგი ვიყავი. საკუთარ თავს დემოკრატიულ ქვეყნებს რომ უწოდებენ, იქაც კი არ ტარდება არჩევნები მხოლოდ პარტიული სიით. ყველგან მაჟორიტარული სისტემაა. იმედია, შემდგომი არჩევნებისთვის საქართველო კვლავ მაჟორიტარულ სისტემას დაუბრუნდება.

**თამარ შველიძე**

# ცესკო - რადიკალების მთავარი სამიზნე



*„საერთო გაზეთთან“ საუბრობს საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი:*

**- ბატონო ლევან, მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“, რამდენიმე თვის წინ, საკმაოდ რთული პოლიტიკური კონკურენციის პირობებში დაფუძნდა. რის გაკეთება შეძელით ამ მოკლე დროში და რას გეგმავთ მომავალში?**

- არაერთი გეგმა გვაქვს და ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას ვაპირებთ, თუმცა ჩვენს ქვეყანას ჯერ უმნიშვნელოვანესი ეტაპი აქვს გადასალახი. ველოდებით, რომ არჩევნები დასრულდეს ისე, როგორც საქართველოს და ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, მშვიდობიან საზოგადოებას შეეფერება. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, რაც დღიდან დაარსებისა გავაკეთეთ, ის არის, რომ საზოგადოებას ვუთხარით სიმართლე - უარს არ ვამბობთ არც აშშ-სთან და არც ევროკავშირთან თანამშრომლობაზე, ოღონდ ეს დაფუძნებული უნდა იყოს თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე. ჩვენ არ გვჭირდება „უფროსი ძმა“. ეს სინდრომი კარგა ხანია, სისხლის ფასად მოვიშორეთ და, დღესდღეობით, როგორც სუვერენულ ქვეყანას, ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისად გვჭირდება განვითარება. ევროკავშირი გამუდმებით ახალ პირობებს გვიყენებს და ისეთ ფასეულობებზე გვთხოვენ უარის თქმას, რაც ჩვენთვის სისხლხორცეულია, ტრადიციულია, ქართულია, ეკლესიურია და არამხოლოდ მართლმადიდებლური, არამედ, საქართველოში მცხოვრები სხვა ტრადიციული რელიგიის მიმდევრებისთვისაც მიუღებელია. ამ შანტაჟისგან გვინდა საზოგადოების გათავისუფლება.

ყოველგვარი კვლევის გარეშეც ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს სურს მშვიდობა და სტაბილურობა ამ ქვეყანაში და ამის ადვილად დათმობას არავინ აპირებს. ოპოზიციური პარტიების მხრიდან ვხედავთ მხოლოდ მუქარას, შანტაჟის მცდელობებს და ისეთ „პროგრამებს“, რომელსაც პროგრამასაც ვერ უწოდებს ადამიანი. გავიხსენოთ მათი დანაპირები 14 მილიარდი, რომელიც, დღემდე ვერცერთმა ვერ დაასახელა, გამარჯვების შემთხვევაში საიდან უნდა მოიტანოს, ან პენსიონერს პენსია 1000 ლარამდე რა გზით უნდა გაუზარდოს! ამ ფანტაზიის ავტორები გვიმტკიცებენ, რომ ევროკავშირის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, მაშინვე შევალთ ევროკავშირში. ეს არის სიცრუე. უამრავი ქვეყანა ვიცით, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრობის კანდიდატია, მაგრამ დღემდე მისი კარი ვერ შეაღო. ჩვენ ვხედავთ, რა სიტუაციაა უკრაინასთან მიმართებაში, რომელმაც ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ ამ მსხვერპლის საფასურად მას ეუბნებიან, რომ ნატო-ში არ მიიღებენ, მოლაპარაკებას კი გახსნიან, მაგრამ ეს მოლაპარაკება რამდენ ხანს გაგრძელდება და რა შედეგი მოჰყვება, კაცმა არ იცის!

დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა ქვეყანამაც საერთაშორისო მისიებში, მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში. ეს ჩვენი ეროვნული ინტერესების საგანი არ იყო, მაგრამ ჩვენ ვასრულებდით, ასე ვთქვათ, თანამეგობრობასთან ერთად მისიებს, რაც ფასეულად მიგვაჩნდა და გვეგონა, რომ ამას სათანადოდ დაგვიფასებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჩვენ არ დაგვიფასეს, პირიქით, მუქარით გვესაუბრებიან, ღიად თუ ფარულად ომში ჩართვისკენ მოგვიწოდებენ და მიგვითითებენ, რომ საქართველოში ვიღაცების დაკვეთით ხელისუფლება უნდა შეიცვალოს.

**- მოახლოებულ არჩევნებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დამკვირვებელთა უპრეცედენტო რაოდენობა დააკვირდება, რომელთაგანაც უკვე არაერთი პოლიტიკური სუბიექტი გამოიკვეთა. რა მიზანი აქვთ ამ ადამიანებს?**

- იმას, რაც ცესკო-სთან დაკავშირებით ხდება, ცოტა სხვა კუთხით მიმოვიხილავ. ნებისმიერი სამხედრო ოპერაციისთვის უნდა შედგეს გეგმა, სადაც ბევრი რამ არის გაწერილი: საიდან უნდა შეუტიონ, როგორ უნდა შეუტიონ და რა ძალები უნდა იყოს ჩართული ბრძოლაში. აქ ერთ-ერთი სერიოზული კომპონენტი გახლავთ მნიშვნელოვანი სამიზნე ობიექტების განადგურება-დაზიანება, რომელიც დაეხმარება შემტევ ძალებს წარმატების მიღწევაში.

გამოცხადებულ „ომში“, საქართველოს წინააღმდეგ, რადიკალური ძალები ცდილობენ რევოლუციის და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ამ მოცემულობას არავინ მალავს არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ. ამ ეტაპზე, მზაკვრული გეგმის მიხედვით, მათ გადაწყვეტილი აქვთ ცესკო-ს მაქსიმალური დისკრედიტაცია, რადგან ცესკო არის მათთვის ის მნიშვნელოვანი სამიზნე ობიექტი, რომლისთვის ზიანის მიყენება, მათი აზრით, იქნება შემდგომი წარმატების მიღწევის საწინდარი. ამიტომაც, ცესკო არის მათთვის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე.

49-დან 26 სადამკვირვებლო ორგანიზაცია რომ ოპოზიციურ პარტიებს წარმოადგენს, ამაზე მეტი მტკიცებულება რაღა გინდათ იმის მისახვედრად, თუ რა ამბავს ატეხენ მათთვის არასასურველი შედეგების მიღების შემთხვევაში! აკი უკვე არაერთი „უცხოელი მეგობრის“ პირით გვითხრეს, რომ ამის გამო „სასჯელს უნდა ველოდეთ“. მუქარას აღსრულება უნდა და ვის რისი თავი და ზრახვა აქვს, კარგია, რომ ვიცით. ამიტომაც არის აუცილებელი ამ ბოროტი ძალების მხილებაც და პირწმინდად დამარცხებაც!

ელექტრონული სისტემა, რომელიც ამჟამად ცესკო-ს აქვს წარმოდგენილი, ისეთი სანდოა, რომ აქ გაყალბებაზე ლაპარაკი ძალიან რთული იქნება. დამკვირვებლები და თვითონ ამომრჩევლებიც ნახავენ და დარწმუნდებიან, რომ ახალი მოცემულობით არჩევნების გაყალბება ტექნიკურად თითქმის შეუძლებელია და ყველა სუბიექტი მიიღებს იმ შედეგს, რაც მათმა ამომრჩეველმა გააფერადა.



**- მაინც, რა მოხდება, თუკი არჩევნები რადიკალებისა და მათი ლობისტების სასურველი შედეგით არ დასრულდება? ისინი ამბობენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ ხელისუფლების შესაცვლელად...**

- „ყველაფერში“, რაც იგულისხმება, გასაგებია: არეულობა, არჩევნების შედეგებზე არ დათანხმება, “გაყალბდა-გაყალბდა“-ს კივილი, აქციები, მიტინგები და რევოლუციის მოწყობის მცდელობა... ამის გაკეთებას მართლაც შეეცდებიან. უცხოელების მზაკვრული მხარდამჭერის შემდეგ კი დასხდებიან და მოიფიქრებენ იმას, რაც უკვე ბევრჯერ გაუკეთებიათ: აქციებზე დაკავებულ, მათ მიერ წაქეზებულ ან დაფინანსებულ კანონის დამრღვევებს, რომლებსაც მანამდე გმირებად შერაცხავენ, მიატოვებენ და მხრებს აიჩეჩავენ; გამოაცხადებენ ბოიკოტს და იტყვიან, რომ „ასეთ“ პარლამენტში არ შევლენ; ცოტა ხნის შემდეგ კი გადაწყვეტენ, რომ საპარლამენტო სკამების, ხელფასების, ავტომანქანების, კაბინეტებისა და მივლინებების დაკარგვა არ უღირთ და შეცუნცულდებიან პარლამენტში - „საპარლამენტო ტრიბუნიდან ბრძოლის გასაგრძელებლად“! ეს იქნება მათი „ყველაფერი“!

**- აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს ტრადიციულ მიღებაზე მიწვევა გაუუქმა. რას ნიშნავს ბაიდენის ადმინისტრაციის ეს საქციელი?**

- თავად ირაკლი კობახიძის ფრაზას მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ ეს იყო ბავშვური და უაზრო საქციელი. მოსაწვევი იყო გამოგზავნილი იმისთვის, რომ შემდეგ გაეუქმებინათ. თუმცა ის რეზონანსი, რაც გათვლილი ჰქონდათ, მათ ვერ მიიღეს, რადგან თვითონ ოპოზიციაც დაიბნა მათი ასეთი საქციელით. როგორც ჩანს, რამდენიმე ადამიანის გარდა, ამას საქართველოში არავინ ელოდა და ფაქტი მხოლოდ კობახიძის მისამართით გამოცხადებულ პროტესტად კი არა, საქართველოს შეურაცხყოფად აღიქვეს.

მე შევადარებდი ამ მოვლენას, ელისაშვილის თავდასხმას მამუკა მდინარაძეზე მუხანათურად, უკნიდან მიპარვით... მაშინაც, ვისაც ოდნავი ღირსება გააჩნია, არ მოიწონა ელისაშვილის მზაკვრობა, თუმცა ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც სიხარულით გულზე ხელებს იბრახუნებდნენ. ირაკლი კობახიძის ჯერ ვახშამზე მიწვევა და მერე ამ მიწვევის გაუქმება, ძალიან ჰგავს სიმდაბლით და გათვლილი მზაკვრულობით ელისაშვილის სიმდაბლისა და უღირსობის გამოვლინებას. ოღონდ, პირველ შემთხვევაში შემსრულებელი ალეკო ელისაშვილი გახლდათ, მეორე შემთხვევაში კი აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია! მუხანათობა-მზაკვრობის მომფიქრებელი ერთი და იგივე ბოროტი თავი მგონია მაინც. ისე, ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას თუ ასე ექცევიან, თავიანთ მიერ ძალით სკამზე დასკუპებულ მონა-მორჩილებს რას უზამენ? აი, კობახიძეს მოსაწვევი გაუუქმეს, აი, თითი დაუქნიესო, - უხარიათ რადიკალებს, მაგრამ მთავარს არ აკვირდებიან, რომ, როცა შენს ქვეყანას ასეთ შეურაცხყოფას აყენებენ, ხვალ კიდევ უარეს იკადრებენ, თუ ფეხქვეშ გაუწვები! კიდევ კარგი, რომ დღეს სახელმწიფოს მართავს ის ხალხი, რომელსაც ასეთი იაფფასიანი ფეხის დადებით, უკნიდან მიპარვით და ყადაღა-სანქციებით ვერ შეაშინებ. გზა კი, რომელიც მათ აირჩიეს, იოლად გასავლელი არ არის, ეს არის გზა, რომელიც სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს ემსახურება, რაც, უდავოდ, საამაყოა!

**ნონა ქარქაშაძე**



# სადაც ჩემს გუნდს დავჭირდები – მეც იქ ვიქნები!



**ზურაბ (ზუკა) რურუა დაიბადა 1987 წლის 8 ივნისს, თბილისში, ვაკის რაიონში. სწავლობდა 55-ე საშუალო სკოლში, მეცხრე კლასიდან სწავლა 101-ე სპორტულ სკოლაში განაგრძო. კოლეჯის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე ჩააბარა. ამ პერიოდში ხშირად უწევდა საზღვარგარეთ წყალბურთის სათამაშოდ წასვლა, ბევრი გაცდენის გამო აკადემიური ჰქონდა აღებული, ამიტომ მესამე კურსიდან სასწავლებლად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა.**

**თავდაპირველად, წყალბურთს რუმინეთში თამაშობდა, შემდეგ თბილისში. ოთხი წელი „დინამო“ თბილისის კაპიტანი, 2008 წლიდან 2020 წლამდე კი, 12 წლის განმავლობაში, საქართველოს ნაკრების კაპიტანი იყო. 2020 წელს წყალბურთის თამაშს თავი დაანება და საქართველოს ნაკრებისა და „დინამო“ თბილისის მწვრთნელი გახდა. პარალელურად, მეგობრებთან ერთად, 2011 წელს ცურვისა და წყალბურთის აკადემია ჩამოაყალიბა, 2017 წელს კი „დინამო“ თბილისის კლუბი დააფუძნა. აკადემიაში, ყოველწლიურად, 700-800 ბავშვი ვარჯიშობს, რომლებიც წვრთნას გადიან და ცურვას სწავლობენ.**

**— ზუკა, პირველ რიგში გილოცავთ „ქართული ოცნების“ დელაგატად დასახელებას, წარმატებებს გისურვებთ ამ რთულ ბრძოლაში. გვითხარით, რამ გადაგაწყვეტინათ, რომ „ქართული ოცნების“ გუნდს შეერთებოდით?**

— 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვარ. უშუალოდ ვმონაწილეობდი როგორც 2020 წლის საპარლამენტო, ისე 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში — მხარდაჭერას ვუცხადებდი სხვადასხვა რაიონის მაჟორიტარ დეპუტატებს. ამჯერად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში, თავად „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ ვაკის რაიონის დელეგატობა შემომთავაზა. სიმართლე გითხრათ, გადაწყვეტილების მიღებისას ბევრი ნამდვილად არ მიფიქრია, შემოთავაზებას მალევე დავთანხმდი. ეს გადაწყვეტილება არამხოლოდ პოლიტიკური კარიერის ზრდის გამო, არამედ ქვეყნისთვის ძნელბედობის ჟამს გვერდში დგომისთვისაც მივიღე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადად, ახლა მთელ მსოფლიოში მძიმე ვითარებაა. მიმაჩნია, რომ ახლა, როგორც არასდროს, ქვეყანას, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომ გადავწყვიტე, ამ გუნდს შევერთებოდი. აქამდე ქვეყნისთვის დიდ სპორტში ჩემი მოღვაწეობით ვიბრძოდი, ახლა ამ ყველაფერს პოლიტიკაში ყოფნით გავაკეთებ. სადაც ჩემს გუნდს დავჭირდები, მეც იქ ვიქნები.

**— პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე რა ცვლილებებს განახორციელებთ?**

— ძალიან ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, რა აღარ მინახავს. ამიტომ, პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ საქართველოში ცხოვრების ჯანსაღი წესის პრიორიტეტად ქცევა ოფიციალურად უნდა დაკანონდეს. სპორტი ბაღის ასაკიდან უნდა ისწავლებოდეს. პედაგოგებმა სწავლება პროფესიონალურ რანგში უნდა აიყვანონ. მაგალითად, უნგრეთის სკოლებში ბავშვები დაწყებითი კლასებიდანვე ირჩევენ სპორტის ამა თუ იმ სახეობას — წყალბურთს, ფეხბურთს, კალათბურთს და პროფესიონალურ დონეზე ეუფლებიან. თუ პარლამენტში მოვხვდები, ამ იდეის ინიციატორი ვიქნები. დღეს, ზოგადად, სავალალო ვითარებაა ინფრასტრუქტურის კუთხითაც, როგორც საცურაო აუზებზე, ასევე სპორტულ მოედნებზე.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გადასახადების შემცირება. მოგეხსენებათ, სპორტული ინფრასტრუქტურა იურიდიულ პირად ითვლება, გადასახადი კი ოთხჯერ მეტია, რაზეც ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს. მე პირადად წარვადგენ საკანონმდებლო ინიციატივას, რათა ეს პრობლემა მოგვარდეს და ისე იყოს, როგორც ევროპაშია. შესაძლოა, საჭირო გახდეს, რომ ისეთი წარმატებული კლუბები, რომელთაც დიდი რესურსი გააჩნიათ და ქვეყანას წარმატებულ სპორტსმენებს უზრდიან, დოტაციაზე გადავიყვანოთ. აქ საუბარი არ მაქვს გასართობ ცენტრებზე ან ისეთ აუზებზე, რასაც ხალხი დასვენების დროს იყენებს, არამედ სპორტულ საცურაო აუზებზე, სადაც მომავალ თაობას პროფესიონალ მოცურავეებად ზრდიან. კვალიფიციური ტრენერები ქვეყანას ისეთ კონტინგენტს უზრდიან, მერე ნაკრებსაც რომ გამოადგება. ასევე, უმნიშვნელოვანესია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მაგალითად, ვაკის რაიონში, რომლის დელეგატიც ვარ, სპორტული დარბაზების, საცურაო აუზების სიმცირეა. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ისეთ სპორტულ ცენტრს ააშენებს, სადაც საცურაო აუზიც იქნება, სატრენაჟორო დარბაზიც და საჭიდაო დარბაზიც. ამ ინიციატივასაც წარვუდგენ პარლამენტს, რათა ვაკის რაიონში სპორტული დარბაზები გაკეთდეს.

**— თქვენ ყოველდღიურად ხვდებით ამომრჩეველს. რა მოთხოვნები აქვს მოსახლეობას და თავად რას სთავაზობთ?**

— დიახ, უკვე არაერთი შეხვედრა მქონდა როგორც ვაჟას კვარტლების მაცხოვრებლებთან, ნუცუბიძის პლატოებზე, ასევე, ცენტრალურ ვაკეში. მოსახლეობის მოთხოვნა ყველგან განსხვავებულია. ამომრჩეველი მხარდაჭერას გვიდასტურებს, თუმცა პრობლემებსაც გვიზიარებს, რაც მოსაგვარებელია. მაგალითად, ნუცუბიძის რამდენიმე პლატოზე ბევრი კარგი სკვერი გაკეთდა და მოეწყო მოედნები, სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ, ცხოვრების ჯანსაღი წესით დაკავდნენ. მაგრამ არსებობს ადგილები, სადაც მოედნები ჯერ კიდევ მოსაწყობია, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ. ყველა პრობლემას გულდასმით ვისმენ. მაგალითად, ცენტრალურ ვაკეში მოსახლეობა ითხოვს მანქანის გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვას. საღამოს საათებში აბაშიძის და ფალიაშვილის ქუჩებზე მანქანები ისეთი სიჩქარით მოძრაობენ, რომ მშობლებს ბავშვების გარეთ გამოშვების ეშინიათ. ამასთან დაკავშირებით კონკრეტული ღონისძიებაა მოსაფიქრებელი. ეს იქნება სიჩქარის შეზღუდვა, ჯარიმის გაზრდა ან ამ ტრაექტორიაზე საპატრულო პოლიციის ხშირი გადაადგილება. შეხვედრები გავმართეთ წყნეთშიც. აქ მწვავედ დგას დევნილთა პრობლემები, რომლებიც მიწების დაკანონებას ითხოვენ. შესადგენია გარკვეული პროგრამები, რათა ამ ადამიანების დაკმაყოფილება მოხდეს. არსებობს ისეთი მიწები და სახლები, რომელთა ამ დროისთვის დაკანონება, შეუძლებელია, მაგრამ რიგი საკითხები განხილვას ექვემდებარება.



მოსახლეობას ერთბაშად ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას ვერ ვპირდები, რადგან ფუჭი დაპირება, რაც ზოგ პოლიტიკოსებს ახასიათებთ, ყოველთვის მეზიზღებოდა. არ მომწონს, როცა ისეთ დაპირებებს გასცემენ, რისი შესრულებაც წარმოუდგენელია. მაგალითად, ასე იქცევა „ნაცმოძრაობა“, რომელიც ცრუ დაპირებებს არიგებს. მაგალითად, ის, რომ ხელფასები ორი ათას ევროს გაუტოლდება, პენსიები კი 500 ევროს ეკვივალენტი გახდება, რაც მტკნარი სიცრუეა. მათ იციან, რომ ხელისუფლებაში მაინც ვერ მოვლენ და რაც ენაზე მოადგებათ, იმას ლაპარაკობენ. ჩვენ უსაფუძვლო დაპირებების გაცემას ვერიდებით. მოთხოვნებს გულდასმით ვისმენთ და ვეცდებით, პრობლემები მაქსიმალურად აღმოვფხვრათ.

**— ამომრჩეველს გადაწყვეტილების მისაღებად ცოტა დრო რჩება, რა მნიშვნელობა აქვს 2024 წლის არჩევნებს?**

— 2024 წლის არჩევნები ძალიან კრიტიკული, მნიშვნელოვანია. ეს ერთგვარი რეფერენდუმია, ვირჩევთ, ომში ყოფნა გვინდა, თუ მშვიდობა. ასევე ვირჩევთ, ჩვენი ფასეულობების, ღირებულებების დაცვა გვიჯობს, თუ ლიბერალური, გაუგებარი ფასეულობებისა, სადაც ოჯახური ტრადიციები გათელილია, ეკლესია შეურაცხყოფილი. აი, რასა და რას შორის უნდა გაკეთდეს არჩევანი.

**— ჩვენი პარტნიორები გვიანონსებენ, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, არჩევნებს არალეგიტიმურად ცნობენ...**

— დიახ, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, წინასწარ დაგეგმილია არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადება, აქციების მოწყობა. უკვე მერამდენე არჩევნებია, მათი ხელწერა არ იცვლება. ამიტომ, ამ არჩევნებზე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს და ხალხმა შექმნილი ვითარება რეალურად შეაფასოს. არჩევანი ასეთია — ჩვენ გვინდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს, მშვიდობა შეინარჩუნოს და ჩვენს შიდა საქმეებში არავინ ერეოდეს. კი, პარტნიორები უნდა გვყავდეს, მაგრამ ქვეყნის შიდა საქმეებში არ უნდა ჩაერიონ. პარტნიორები საქართველოს გვერდით უნდა ედგნენ და რა სარგებელსაც ჩვენგან მიიღებენ, იგივე სარგებელი მათგან ჩვენც უნდა მივიღოთ. ამიტომ, როცა ისინი კონკრეტული პირების მისამართით შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებენ, ეს არა ამ პიროვნებების, არამედ საზოგადოების შეურაცხყოფაა.

მაგალითად, ერის შეურაცხყოფაა, როცა პრემიერს ვახშამზე მიიწვევ და მერე წინა დღეს მიწვევას აუქმებ. დიახ, ეს პირადად პრემიერის შეურაცხყოფა კი არა, ქვეყნის შეურაცხყოფაა. ასეთი ზეწოლა წინასაარჩევნო კამპანიაში უხეში ჩარევაა. საზოგადოებაზე მანიპულაციები კვლავ გაგრძელდება. ახლა ვიზალიბერალიზაციის შეჩერებითაც გვემუქრებიან. ამის საფუძველი არ არსებობს, რადგან აქ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ეს მხოლოდ განცხადებები და ადამიანების გონებაზე მანიპულირება, ზემოქმედებაა. ვფიქრობ, ეს ქარტეხილები ჩაივლის და არჩევნებში დამაჯერებლად გავიმარჯვებთ.

აქვე მინდა, პრემიერის გაეროში სიტყვით გამოსვლაზეც გავამახვილო ყურადღება. მან მშვიდობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ჩვენი ქვეყნის გარშემო ომი მძვინვარებს. ამ ფონზე საქართველო ახერხებს მშვიდობის შენარჩუნებას. პრემიერის განცხადებით, პრიორიტეტი სწორედ მშვიდობის შენარჩუნება



იქნება. შედეგად, ქვეყანაში, სადაც სტაბილური ვითარებაა, ეკონომიკური ზრდაც არის, ტურიზმიც მეტად ვითარდება. ჩვენ ვიქნებით ისეთი სუვერენული ქვეყანა, რომელიც არავისზე იქნება დამოკიდებული, — აღნიშნა პრემიერმა.

**— „ქართულმა ოცნებამ“ 170-კაციანი სია წარადგინა. სიის შემადგენლობა გამარჯვებამდე მიგვყავთ?**



— რა თქმა უნდა, სიაში ბევრი ახალი, საინტერესო სახეა, რაც მიხარია. მათ აქამდეც უკეთებიათ ქართული საქმე და კიდევ მეტს გააკეთებენ. „ქართული ოცნების“ სიაში ქვეყნის ნამდვილი პატრიოტები არიან, რომელთაც სამშობლოსთვის არასდროს უღალატიათ. როგორც იცით, სიის პირველი ნომერი, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბატონი ბიძინა ივანიშვილია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მან პირადი კეთილდღეობა გვერდზე გადადო და სამშობლოს გვერდით ერთგულად დაუდგა. პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილისთვის მთავარი ქვეყნის გაერთიანება, გამთლიანება, სწორი პოლიტიკის წარმოებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და კვლავ ჩვენს ოს და აფხაზ და-ძმებთან ერთად ყოფნაა.

**— ინტერვიუს სოხუმის დაცემის დღეს ვწერთ და რადგან ტერიტორიების დაბრუნება ახსენეთ, როგორ გესახებათ ამის განხორციელება?**

— დღეს ოპოზიციამ და მისმა სატელიტმა ტელევიზიებმა, ბოდიშთან დაკავშირებით, ბატონი ბიძინას სიტყვები აიტაცეს, რასაც არასწორი ფორმულირება მისცეს. შედეგად, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები გამოდიან და გაიძახიან: ოკუპანტს ბოდიში რატომ უნდა მოვუხადოთო. რა შუაშია ოკუპანტთან, სეპარატისტთან, ან მტერთან ბოდიშის მოხდა?! აქ საუბარია ჩვენს მოძმე ერებზე — ოს და აფხაზ და-ძმებზე. ჩვენ ბოდიში ერთმანეთს უნდა მოვუხადოთ და ჩვენ შორის ურთიერთშერიგების აქტი გაფორმდეს. სწორედ ამის საფუძველზე უნდა აღვადგინოთ მათთან ის ურთიერთობა, რაც გვქონდა და ასე დავიბრუნოთ ტერიტორიები. მოგეხსენებათ, რუსეთმა პირველი სექტემბრიდან აფხაზეთს დაფინანსება შეუწყვიტა. ამიტომ შერიგების აქტი ჩვენი მხრიდან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ახლა ოპოზიციამ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ბანერებზე ატეხა ერთი ამბავი. ჩემი აზრით, საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, საით მიაქანებდა „ნაცმოძრაობა“ ჩვენს ქვეყანას. მაგალითად, ომში მოხალისეების გაწვევას, რუსეთისთვის სანქციების დაწესებას, ფაქტობრივად, ესკალაციას მოითხოვდნენ. 2022 წელს ხელისუფლებაში კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ რომ ყოფილიყო, ბანერებზე ასახული რეალობა, რაც უკრაინის სკოლებში, თეატრებში, ქუჩებში ხდება, აქაც გვექნებოდა. დიახ, ჩვენ არ გვინდა, რომ ქართული თეატრები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები ისე აღიგავოს პირისაგან მიწისა, როგორც იმ ბანერებზეა ასახული.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებას?**

— ჩემი აზრით, ჩვენი გუნდი ძალიან სწორ საარჩევნო კამპანიას ატარებს როგორც რეგიონებში, ასევე, დიდ ქალაქებში. გადაუწყვეტელ ამომრჩევლამდე, რომელიც, დაახლოებით, 25%-ს შეადგენს საჭიროა სათანადო მესიჯის მიტანა, თუ რა გეგმების განხორციელებას ვაპირებთ მომავალში. რეგიონებში ხალხი სწორი არჩევანის გასაკეთებლად ირაზმება. „ქართული ოცნების“ რეიტინგი მკვეთრად არის გაზრდილი. კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება, რა თქმა უნდა, რთული იქნება, თუმცა სხვადასხვა კვლევები მოწმობს, რომ ამის შანსი დიდია.

**— მოკლედ, სპორტის შესახებაც გვიამბეთ. რა მიღწევები გაქვთ წყალბურთში?**

— ბოლო წლებში საკლუბო დონეზე საკმაოდ ბევრ წარმატებას მივაღწიეთ. ისტორიაში პირველად, მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ათეულში გავედით, რაც დიდი მიღწევაა. ევროპის ჩემპიონატზე კი, 2022 წელს მეოთხედფინალში გავედით და რვა საუკეთესო ნაკრებს შორის მოვხვდით, რაც ასევე ისტორიული ფაქტია. საქართველოს დამოუკიდებლობის მერე, ეს გამარჯვება ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა. კლუბური წარმატებებიც გვაქვს — უკვე მეოთხე წელია, „დინამო“ თბილისი ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით ასპარეზობს.

ზოგადად, წლევანდელი წელი სპორტისთვის უმნიშვნელოვანესია. ასეთი წარმატებული წელი ჯერ არ გვქონია: ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ, მოვიპოვეთ ოქროს მედლები, არაერთი პრიზიორიც გვყავს, ასევე, მსოფლიო ჩემპიონები მკლავჭიდში, წარმატებები მოვიპოვეთ გუნდური სპორტის სახეობებში: ხელბურთში, წყალბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, რაგბში. ეს დამსახურება მოდის პრემიერის განაცხადებიდანაც, რომელმაც აღნიშნა, რომ სპორტის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება პრიორიტეტულია. ამიტომ მივიღეთ ასეთი შედეგი. მომავალში, ყოფილმა სპორტსმენებმა, რომლებიც პარლამენტში მოვხვდებით, სწორედ ეს ხაზი უნდა განვაგრძოთ და მეტი რესურსი ჩავდოთ იმისთვის, რომ სპორტი სწორი ნაბიჯებით განვავითაროთ.

**— „ქართული ოცნების“ სიაში ახალი სახეებიდან ორი ოლიმპიური ჩემპიონი — ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილიც მოხვდნენ, რომელთა მიმართ ბულინგი არ წყდება...**

— ოპოზიციას სხვა რა საქმე აქვს, ხომ უნდა იქილიკოს. არ შეიძლება, 150 პარლამენტარიდან 150-ვე იურისტი იყოს. ეს აბსურდია. პარლამენტში ყველა სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს წარმოდგენილი: იურისტიც, კულტურის მუშაკიც, სპორტსმენიც, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელიც. ლაშა ტალახაძეს და გენო პეტრიაშვილს იმდენი აქვთ ქვეყნისთვის გაკეთებული, რომ დარწმუნებული ვარ, თავიანთ პროფესიულ უნარებს ხელისუფლებაში ყოფნისას აუცილებლად გამოაჩენენ. ბულინგს რაც შეეხება, აგერ, „ძლიერმა საქართველომ“ სიაში ფოლკლორის წარმომადგენელი გიორგი უშიკიშვილი დაასახელა. მათი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ და სპორტსმენს არაფერი ესაქმება პარლამენტში, მაშინ მომღერალმა რა უნდა გააკეთოს?! ეს მიდგომა არასწორია. სპორტსმენების ბულინგი მათი მხრიდან უაზრო პიარკამპანიის მცდელობა იყო, რათა ხალხზე არასწორი ზემოქმედება მოეხდინათ. ამ ანტიპიარმა ჩვენს ოლიმპიელ ჩემპიონებზე პირიქით იმოქმედა — მათ მეტი მოტივაცია გაუჩნდათ, არჩევნებში წარმატებას მიაღწიონ და სპორტისთვის ბევრად მეტის გაკეთება შეძლონ.

ასე რომ, „ქართული ოცნების“ გუნდი 26 ოქტომბერს გამარჯვებისთვის ემზადება. ოპოზიცია კი 27 ოქტომბერს რადიკალური ნაბიჯების გადასადგმელად ემზადება, მაგრამ არაფერი გამოუვათ. საქართველო, ქართველი ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებს და სწორ გზაზე სიარულს განაგრძობს, რასაც 2012 წლიდან მოყოლებული ადგას.

**თამარ შველიძე**

# გულწრფელი შენდობა და პატიება

უფლის ნებით, მაქვს ბედნიერება, ბოლო 12 წლის განმავლობაში ხშირად ჩავიდე ჩემს საყვარელ კუთხეში, ჩემს საყვარელ აფხაზეთში, ჩემი ოცნების ქალაქ სოხუმში, რომელიც ქალაქი კი არა, სამოთხეა დედამიწაზე. იქ ჩიტებიც კი სხვანაირად ჭიკჭიკებენ. ამ ქალაქში მზის ამოსვლაც და ჩასვლაც სხვანაირია, განსაკუთრებული. სოხუმში მზე რომ ჩადის, ზღვას შეეხება თუ არა, მზე სიმღერას იწყებს. იცით,რა ლამაზია მზის და ზღვის სიმღერა? მაგრამ მათი სიმღერა ხანმოკლეა და თუ ეს ადგილი არ გიყვარს, ამ სიმღერასაც ვერ გაიგებ...... თუმცა, რაც ქართველები და აფხაზები გავიყარეთ, მას შემდეგ სოხუმში მზეს და ზღვას ერთად აღარ უმღერიათ....

აფხაზეთში ადრე ადამიანები ძმებივით ცხოვრობდნენ, ერთი თეფშიდან ჭამდნენ და ერთი ქვევრიდან სვამდნენ ღვინოს, მათ ერთმანეთი ისე უყვარდათ, როგორც – ზაფხულს მზე, თევზს - წყალი, ჩიტს - ცა და უფალს - სიმართლე!

მე იმედი მაქვს, ქართველები და აფხაზები ისევ ისე ვიცხოვრებთ, როგორც ადრე.

ჩვენი შერიგება შესაძლებელია, ოღონდ ერთმანეთს უნდა მივუტევოთ. მათ მაინც ჩვენი იმედი აქვთ, ჩვენკენ უჭირავთ თვალი, რამდენად ღირსეულ სახელმწიფოს შექმნით, როგორ გავუწვდით ხელს ჩვენს ძმებს - აფხაზებს...

სახალხო დიპლომატია აუცილებელია...

პოლიტიკოსებისთვის ადვილია საზღვრის გავლება. ჩვენთვის კი, უბრალო ხალხისთვის, ეს ტრაგედიაა.

სოხუმის ცენტრში, მშვიდობის პროსპექტსა და ნესტორ ლაკობას ქუჩას შორის "დიდების პარკი" მდებარეობს, რომელიც 1992-1993 წლების ომში დაღუპულ მეომრებს ეძღვნება. დავდიოდი ამ „დიდების პარკში“, ვკითხულობდი ასობით მემორიალურ დაფაზე წარწერებს: გვარი, სახელი, დაბადების წელი 1960, 1961, 1962, 1963, 1964..... გარდაცვალების წელი 1992, 1993... გასკდა გული... ვეღარ შევიკავე თავი და ამივარდა გულამოსკვნილი, ხმამაღალი ტირილი... შორიახლოს შავებში ჩაცმული ხანში შესული ქალბატონი იყო ერთ-ერთ დაფასთან მუხლმოდრეკილი.... ჩემი ტირილის გაგონებაზე წამოდგა, ჩემკენ წამოვიდა, მომიახლოვდა, ხელი მომხვია და მითხრა: **„Деточка, видимо кто-то очень Ваш родной, раз так тебе больно… Какой из них? как фамилия?“** მე ვუპასუხე, რომ არც ერთი არ არის სისხლით ახლობელი, თუმცა ყველაზე გული შემტკივა, ვინაიდან ჩვენთან თბილისშიც არის დაღუპულების ობელისკი საუკეთესო ქართველი ბიჭების, საუკეთესო ქართული გენოფონდის... ქალბატონმა ჩემზე მოხვეული ხელი უცებ გასწია, ზურგში გასწორდა და შემეკითხა: **Вы из Грузии? Грузинка? И Вы так оплакиваете наших абхазких погибших ребят? Вам на самом деле больно?...** რა თქმა უნდა - ვუპასუხე მე, - რა თქმა უნდა, მტკივა და გული მეწვის, რომ ამდენი ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდა შეეწირა ამ ძმათა შორის ომს. დარწმუნებული ვარ, თბილისში თქვენ რომ გენახათ ჩვენი, ქართველი დაღუპული მეომრების ობელისკი, იგივე განცდა დაგეუფლებოდათ-მეთქი... ამის გაგონებაზე შავებში ჩაცმულ ხანშიშესულ აფხაზ ქალბატონს თვალები აუცრემლიანდა, უცებ ჩამეხუტა, ნამდვილად, ალალად, დედაშვილურად ჩამეხუტა, მაკოცა... კოცნის დროს ცრემლებით დამისველა ლოყა და მითხრა: **Ты права, деточка, ты права, нам, и грузинам и абхазам надо перед друг другом искренно, от души извиниться, простить друг друга и помириться... и жить как раньше.**



ყველაზე დიდი ნიჭი, რომელიც ადამიანს გააჩნია, პატიების ნიჭია, რადგან, როცა პატიება შეგიძლია, მაშინ შეგიძლია გიყვარდეს. სიყვარული კი უდიდესია ადამიანის ნიჭებს შორის. ღმერთი - სიყვარულია...

**ნინო ანდრონიკაშვილი**
**საერთაშორისო ორგანიზაცია**
**„სახალხო დიპლომატიის“ პრეზიდენტი**

# ომი ან მშვიდობა! - უმთავრესი სწორედ ეს არჩევანია



*გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჩიბურდანიძე:*

**- ქალბატონო თამარ, 27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 31 წელი შესრულდა და მგონი, მხოლოდ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლება ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად რეალური ქმედითი ნაბიჯების გადადგმას იწყებს...**

- გუშინდელი 27 სექტემბერი პირველი დღე იყო პირადად ჩემს ცხოვრებაში, სოხუმის დაცემის შემდეგ, რომელსაც იმედიანად შევხვდი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს არის ჯვართამაღლებაც, იმდენად მძიმე დღეა 27 სექტემბერი თითოეული ქართველისათვის, რომ ტკივილი ამ უდიდესი საეკლესიო დღესასწაულის სიხარულსაც ფარავს. ტკივილი, რა თქმა უნდა, არ გაქრება, მაგრამ იმედის მომცემი დღე იყო, რომ ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდება! რისთვის დაიღუპნენ ჩვენი ბიჭები, რისთვის შესწირეს თავი ქართველმა ჯარიკაცებმა თუ რიგითმა მოქალაქეებმა?! - ერთადერთი მიზნისთვის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის! და თუკი ეს მიზანი იქნება შესრულებული, მათი სულები ხომ ამით ცხონდება! იმ ბიჭებს არ ენდომებოდათ, რომ კვლავ ტყვია გავარდეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რომ ერთმანეთი დავხოცოთ, ისევ სხვა ქვეყნის ინტერესები გავატაროთ და ჩვენ გავნადგურდეთ!

აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით დიდი ხანია, მუშაობს ხელისუფლება, თუმცა ეს თემები აქამდე გარეთ არ გამოდიოდა. ამჟამად მიმდინარეობს კონფლიქტების ტრანსფორმაციის, ანუ ნდობის აღდგენის პროცესი, რის შემდეგაც უკვე მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს. ჯერ კიდევ კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში ვართ, ოღონდ უკვე კულმინაციას ვუახლოვდებით. რადგან ხელისუფლებამ ღიად გამოიტანა მესიჯები, ფაქტია, რომ სიტუაცია დაძრულია. ტრანსფორმაციის პროცესი გულისხმობს მტრულად განწყობილი მხარეების პოზიციებისა და განწყობების შეცვლას, რომელშიც ერთვება სახალხო დიპლომატია, სახელმწიფო პოლიტიკა, გარე ძალები, შუამავლები და ა. შ. როგორც კი მოვახერხებთ ტრანსფორამაციას, უკვე მზად ვიქნებით, რომ დავსხდეთ მოლაპარაკებაზე კონფლიქტურ მხარესთან, ოღონდ, აქ დაგვჭირდება შუამავალი ქვეყანა, რომელიც შეძლებს კონფლიქტურ მხარეებს შორის პრობლემის მოგვარებას. ბუნებრივია, ეს ვერ იქნება რუსეთი, რადგან თავად კონფლიქტური მხარეა, თუმცა ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ რუსეთთანაც, რადგან აფხაზებსა და ოსებს არ ხელეწიფებათ საკუთარი ბედის გადაწყვეტა, ამას წყვეტს რუსეთი! აქედან გამომდინარე, ჩინეთმა ღიად განაცხადა, რომ აიღებენ პასუხისმგებლობას და ჩადგებიან მოდერატორის როლში ჩვენი შიდა კონფლიქტის დასარეგულირებლად. ჩვენ ვეძებდით სხვა ქვეყანას, რომელიც იტვირთებდა ამ მისიას და პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარებოდა, მაგრამ აქამდე არავინ იკისრა მოდერატორობა ჩვენსა და რუსეთს შორის. ასეთი აღმოჩნდა ჩინეთი. ბუნებრივია, ჩინეთს, უპირველესად, საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, ანაკლიის პორტის, აბრეშუმის გზის, თუ ნებისმიერი სატრანზიტო გზის გამო, რაც აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადის. საქართველოს ტერიტორია, როგორც გეოპოლიტიკური ჰაბი, როგორც მსოფლიოს ეკონომიკური ჰაბი, უნდა იყოს ყველანაირად დაცული და ამ ქვეყანაში იარაღის ჟღარუნი არ შეიძლება! ეს ყველაზე მეტად ესმის ჩინეთს და მათ ამის გარანტიები სჭირდებათ. ჩინეთი იცავს, უპირველესად, საკუთარ ინტერესებს, რადგან პოლიტიკა არ არის ქველმოქმედება, პოლიტიკაში არ ხდება ისე, რომ ვიღაცას რაღაც უბრალოდ გაუკეთო. შეიძლება მხოლოდ შენს ქვეყანას ემსახურო უანგაროდ, ისე, რომ სამაგიეროდ არაფერს ითხოვდე და დღესდღეობით ასეთი ერთადერთი პიროვნება გვყავს საქართველოში. ეს არის ბიძინა ივანიშვილი. სხვა ქვეყანას ქველმოქმედება არ მოეთხოვება და არც არავინ არაფერს გაგიკეთებს უანგაროდ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათი სახელმწიფოებრივი ინტერესები ემთხვევა ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს და სახელმწიფოთა შორის პარტნიორობა არის თავსებადი.

შერიგებამდე ვერ მივალთ სინანულის, მიტევების, ბოდიშის მოხდის, შეცდომების აღიარების გარეშე, გამორიცხულია. კონფლიქტები ასე არ გვარდება. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი გზით ერთმანეთის დაბრუნება და მე მჯერა, რომ ძალიან მალე, არჩევნების შემდეგ, აუცილებლად შევუდგებით გზას, რომელსაც საქართველოს ერთიანობა ჰქვია. რა ფორმით და როგორი სამართლებრივი მიდგომებით მოხდება ეს, ამაზე განცხადებას უკვე ხელისუფლება გააკეთებს!

**- დასავლეთს არ გამოუთქვამს სურვილი აქამდე, რომ ჩვენ შორის მოდერატორის როლი ეკისრა?**

- საკმარისი დრო ჰქონდა დასავლეთს იმისათვის, რომ კონფლიქტების დარეგულირებაში დაგვხმარებოდა, თუნდაც სახალხო დიპლომატიის, თუნდაც პოლიტიკის დონეზე, მაგრამ ეს არ გააკეთეს. პირიქით, ჩვენ შორის კონფლიქტი უფრო გაღრმავდა. 2008 წელს კოდორის ხეობის დაკარგვამ, სამაჩაბლოში ამ სისხლიანმა შეტაკებამ, გააღრმავა კონფლიქტი და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების თემა მთლიანად დახურა. მაქვს ეჭვი, რომ 2008 წლის ომი, გარკვეულწილად, პოლიტიკური გარიგება იყო. ამ თემის დახურვა აწყობდა როგორც რუსეთს, ასევე დასავლეთს, რადგან მუდმივად ღია კონფლიქტი ნებისმიერი ქვეყნისთვის პრობლემაა, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს საქართველოში. რუსეთს უნდოდა ომით ტერიტორიის წაღება, რომ ამით თავისი საზღვრები და ქვეყნის უსაფრთხოება დაეცვა, დასავლეთს კი მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა რუსეთთან და ამგვარად გაინაწილეს საქართველო. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა, რაც არ დამიმალავს არც მაშინ, როდესაც ამერიკაში ვიყავი და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებს ვესაუბრებოდი, რომლებიც პენტაგონში მუშაობენ.

**- როგორი იყო მათი შეფასება ამ საკითხთან დაკავშირებით?**

- ისინი, უბრალოდ, მისმენდნენ, ბევრი რამ არ იცოდნენ საქართველოზე, მათ იცოდნენ მხოლოდ, რომ მიშა იყო დემოკრატიის შუქურა!

ამ თემას არ ეხება, მაგრამ ერთ ამბავს გავიხსენებ. სანამ ამერიკაში წავიდოდი, სადოქტორო თემაზე ვმუშაობდი სახელწოდებით, „პოლიტიკური იმიჯის შექმნის ტექნოლოგიები - საქართველოს, აშშ-ისა და ისრაელის შედარებითი ანალიზი“ და კვლევა უნდა გამეკეთებინა ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. შევარჩიე ამ უნივერსიტეტის სამი პროფესორი, ვინც პოლიტიკურ მარკეტინგში მუშაობდა და სამივეს პირადად მივწერე. ორმა პროფესორმა პასუხი მაშინვე დამიბრუნა, მესამემ კი, რომელიც ყველაზე მეტად მინდოდა, რომ ჩემი თანახელმძღვანელი ყოფილიყო აშშ-ის მხრიდან, ვინც ჩემს კვლევაზე იმუშავებდა, - პასუხი საერთოდ არ გამცა! არადა, მსგავსი რამ არ სჩვევიათ ამერიკელებს, მით უფრო, თუ მეცნიერი მიმართავს რომელიმე ქვეყნის უნივერსიტეტიდან.

2003 წლის შემდეგ დიდი დრო გავიდა და ნამდვილად არ მახსოვდა, რომ ეს კონკრეტული პროფესორი და პოლიტიკური მარკეტინგის ცნობილი სპეციალისტი, ამავე დროს, თურმე ვარდების რევოლუციის სტრატეგიული დამგეგმავი, განმახორციელებელი და პიარის ჯგუფის ხელმძღვანელი ყოფილა, ვინც მიხეილ სააკაშვილს ვარდების რევოლუცია დაუგეგმა. ის ამერიკიდან იყო გამოგზავნილი და ვარდების რევოლუციის შემდეგ ერთი წელი ცხოვრობდა თურმე საქართველოში. მე ეს ყველაფერი ამერიკაში მისი კოლეგებისგან შევიტყვე. იქ გავიგე, რომ თურმე ამ პიროვნებას მიშასთან დაახლოებული პირი ვგონებივარ, რადგან ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდათ, რომ, თუკი საქართველოდან ვინმე ჩადიოდა ამერიკაში, საუნივერსიტეტო დონეზე, ყველა მიშას გარემოცვა იყო. ამ პროფესორს კი სერიოზულად უჩხუბია სააკაშვილთან, თავს დამნაშავედ გრძნობდა, თურმე, რადგან მიშამ სრულიად შეცვალა რაკურსი, რაზეც ამ პროფესორმა იმუშავა და აბსოლუტურად საპირისპირო მიმართულებით წავიდა. ამის გამო ამ პიროვნებას სერიოზული კონფლიქტი მოსვლია თვითონ ამერიკაშიც, მაკკეინის ჯგუფთან, რომლებიც დღემდე სააკაშვილს და მის გუნდს ლობირებენ. ძალიან გაბრაზებულია სააკაშვილზე და საქართველოდან ვერავის უხსენებო, მითხრეს. ამიტომ არ გამცა პასუხი... გამეცინა ასეთი კურიოზზე, ამას თუ წავაწყდებოდი ამერიკაში, არ მეგონა, სადაც მიშა დღემდე ღმერთი ჰგონიათ!

**- სწორედ ეს მაკკეინი გვიმტკიცებს ახლა, არჩევნებს საქართველოში აუცილებლად მოჰყვება სამოქალაქო არეულობა. ხელისუფლება კი მის გაცხადებას სახელმწიფო გადატრიალების სცენარად აფასებს...**

- მტკიცებით იმიტომ ამბობს, რომ როდესაც ხალხს რაღაცას უმტკიცებ, ქმნი დამაჯერებელ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ძალიან ძლიერად იბეჭდება თითოეული ადამიანის გონებაში. ნებისმიერი ადამიანი გააჩერეთ დღეს ქუჩაში, ხელისუფლების მომხრე იქნება ის თუ ოპოზიციის წარმომადგენელი და ნახავთ, რას გეტყვით. - არჩევნებს მოიგებს „ოცნება“, როგორ არა, მაგრამ რაც მერე დატრიალდებაა... მტრისას! მათ ასეთი საზოგადოებრივი აზრი უკვე ჩამოაყალიბეს საზოგადოებაში. ამისთვის წერენ ღია წერილებს, ამისთვის აკეთებენ ოფიციალურ განცხადებებს, რათა საზოგადოებაში შექმნან განწყობა, რომ არჩევნებს კი მოიგებს მმრთველი გუნდი, მაგრამ ოპოზიცია მათ ამას „არ აპატიებს“. არჩევნებს ხომ განწყობა სჭირდება! ორივე მხარს სჭირდება მუხტი, ემოცია... ამ განცხადებებით, რადიკალების ლობისტები ცდილობენ, რომ თავიანთ მხარდამჭერებში აანთონ, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებში კი ჩააქრონ ემოციური მუხტი. გარდა ამისა, ამით ევროპულ სახელმწიფოებს უგზავნიან მესიჯს და არამხოლოდ მესიჯს უგზავნიან, არამედ, კულისებში ევროპული სახელმწიფოების პირველ პირებთან მუშაობენ იმის თაობაზე, რომ მათ არ სცნონ საქართველოში ჩატარებული არჩევნების სამართლიანობა. ამაზე სეროზული ზეწოლა იქნება ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან, მაგრამ მათ ამისთვის სულ ერთი კვირა აქვთ. ამის შემდეგ კი აშშ-შიც არჩევნებია. ჩვენ არ ვიცით, იქ რა მოხდება, ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ აშშ-ში არჩევნების შემდეგ პოლიტიკა ნებისმიერ შემთხვევაში შეიცვლება, რადგან ამ პოლიტიკით, რასაც ისინი დღეს აწარმოებენ, დიდხანს ვერ იარსებებენ, ამერიკა ჩამოიშლება. ეს ძალიან რთულია, რადგან აშშ უძლიერესი სახელმწიფოა, მაგრამ სწორედ უძლიერესი სახელმწიფოებისთვის არის საკმარისი ერთი მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რამაც შეიძლება ისეთი რყევა გამოიწვიოს, რომ ქვეყანა შიგნით დაშალოს. ჩვენ ვიცით, რა ხდება შტატებში, - კალიფორნიის შტატში, ტეხასში... სადაც ერთი სული აქვთ, დასუსტებული ამერიკა ნახონ, რომ გამოეყონ მას, როგორც სახელმწიფო. ანუ ამერიკას შიდა პოლიტიკური პრობლემები აქვს და მათ ჩვენთვის, წესით, არ უნდა ეცალოთ.

მე ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ ამერიკაში აღმოჩნდება ჭკვიანი ხელისუფლება, რომელიც მიხვდება, რომ საქართველოსთან ამ გეოპოლიტიკურ ვითარებაში პარტნიორობის შენარჩუნება ურჩევნიათ. ძალადობრივი პოლიტიკა, ქვეყნის შიდა საზღვრებში ჩარევა, არჩევნების მართვა და ევროკავშირის განწყობა ჩვენს წინააღმდეგ, მათ ხელს არ აძლევთ!

ასე რომ, მათ უნდა მიიღონ საქართველო იმ რეალობით, რა რეალობაშიც დღეს ვცხოვრობთ. მოსახლეობამ კი უნდა გააზროს რეალური საფრთხე, რომ თუ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები წააგო, ომი გარდაუვალი იქნება საქართველოში და ეს არ იქნება სამ ან ხუთდღიანი ომი. ამ ომით აღიგვება საქართველოც, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც, პირისაგან მიწისა და ჩვენი ეთნოსიც გაქრება.... ამიტომაც, უმთავრესი სწორედ ეს არჩევანია - ომი ან მშვიდობა!

**ნონა ქარქაშაძე**



# ჩვენ იქ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ – სამხრეთ კავკასიაში



*გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:*

**— ქალბატონო მაია, აშშ-სა და ევროკავშირთან ურთიერთობის კუთხით რა პროცესის მომსწრე ვართ?**

— ბოლო პერიოდში ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში ანტიდასავლურმა განწყობებმა განსაკუთრებით იმატა. ამაში, გარკვეულწილად, დიდი როლი „ხალხის ძალამ“ შეასრულა. სინამდვილეში, საზოგადოებისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, რას წარმოადგენდა ამერიკასთან მეგობრობა. უბრალოდ, ჩვენ მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდით, რადგან რუსეთის ფედერაცია ლიბერალური ქვეყანა გახდა, სადაც ცივი ომი საბჭოთა კავშირის დანგრევით დასრულდა. ამის შემდგომ საქართველოსთვის ცუდი პროცესი დაიწყო — რუსეთის ელიტა მთლიანად პროდასავლური, ლიბერალური გახდა. რუსეთის პოლიტიკური ელიტა ცდილობდა, ისე ეცხოვრა და ისეთივე ყოფილიყო, როგორიც დასავლეთი. თავად პუტინსაც მცდელობა ჰქონდა, ლიბერალი ყოფილიყო. თუმცა, ეს ილუზია აღმოჩნდა. ეს იმ ექსპერიმენტის გაგრძელება იყო, რაც საბჭოთა კავშირის შექმნით ჩატარდა. მიზანი რუსეთის უზარმაზარი რესურსების დაუფლება იყო — უსამართლობაა, რუსეთს იმდენი რესურსი გააჩნდეს, რაც აქვსო. საბოლოოდ საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომს უნდა გაენადგურებინა და რუსეთის რესურსები გადანაწილებულიყო. რუსეთს ლამის ნახევარი მსოფლიოს სამყოფი რესურსები აქვს, მათ შორის, ხელუხლებელიც. თუმცა, ქვეყნის სათავეში სტალინი აღმოჩნდა და ბევრი რამ შეიცვალა.

2017 წელს პუტინმა ამერიკის ხელმძღვანელობას ასე მიმართა: ჩვენ ერთმანეთს გარეგნულად ვგავართ, მაგრამ სხვა მხრივ ძალიან განვსხვავდებითო. ჯოხი საქართველოზე გადატყდა. მაშინდელი ლიბერალური რუსეთისგან დიდი დარტყმები მივიღეთ, სრულიად ავირიეთ და იძულებული გავხდით, აშშ-ს კისერზე ჩამოვკიდებოდით. ვერ ვაცნობიერებდით, რომ ამერიკა და ლიბერალური რუსეთი, პრაქტიკულად, ერთი და იგივე იყო. ეს ერთი პოლიტიკა იყო და სწორედ აქ გავიჭყლიტეთ. შემდგომ საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ. როგორც კი აშშ-ს ჩამოვეკიდეთ, მან ჩვენი როლი ზუსტად განსაზღვრა — საქართველო უნდა ყოფილიყო პროვოკატორი ქვეყანა, რომელიც, როცა საჭირო გახდებოდა, რუსეთს ქვევიდან, ანუ სამხრეთ კავკასიიდან ააფეთქებდა. მოგვიანებით, რუსეთი მიხვდა, რომ დასავლეთმა ის თავისიანად არ მიიღო და მანაც გარკვეული კონტურების მოხაზვა დაიწყო. დღეს საზხეა აბსოლუტურად სხვა რუსეთი, რომელიც თავის ეროვნულ უსაფრთხოებაზე ფიქრობს და ზრუნავს.

მე ჯერ კიდევ 2003 წელს, მაილსის ელჩობის დროს ვსაუბრობდი ამერიკის „მეგობრობაზე“. ამერიკაში ერთ-ერთი შეხვედრის დროს კატეგორიულად გამაფრთხილეს, მაილსის აუგად ხსენება შეწყვიტეო. ეს კონკრეტულმა ამერიკელმა ღიად მითხრა. როგორია სინამდვილეში ამერიკა, ეს ყველაზე კარგად მისმა მეზობლებმა იციან. ხომ ვხედავთ, რა ვითარებაა სამხრეთ ამერიკაში. მექსიკაში კი ამერიკის სიძულვილი პიკს აღწევს. ამერიკა არცერთ ქვეყანას საკუთარი რესურსებით სარგებლობის საშუალებას არ აძლევს — უნდა, რომ მხოლოდ თავად გამდიდრდეს, სხვა ყველა მეორეხარისხოვანია. იგივე ვითარებაა ჩვენთან მიმართებითაც.

ქართული საზოგადოება დიდხანს იყო ილუზიაში და ამერიკა მართლა მეგობარი ეგონა. ქართველო, დაფიქრდი, შენ რომ ხარ მისი მეგობარი, ისიც შენი მეგობარია? ჩვენ მთელი ეს წლები ღარიბი ნათესავის როლში ვიყავით. „ხალხის ძალამ“ ეს თემა წინ წამოსწია და ხალხი გამოფხიზლდა. კელი დეგნანის ელჩობის პერიოდში ნათლად გამომჟღავნდა ამერიკის ჩვენდამი დამოკიდებულება. დღეს წუწუნებენ: საზოგადოებაში ანტიამერიკული განწყობებია და საქართველო რუსეთისკენ მიექანებაო. როგორ შეიძლება პროამერიკული განწყობები გქონდეს მას მერე, რასაც ჩვენი ქვეყნის მიმართ ევროპარლამენტარები, ელჩები აკეთებენ. ეს ყველაფერი ბაიდენის გაუქმებულმა მოსაწვევმა დააგვირგვინა. მოსაწვევის გაუქმება შემთხვევით მომხდარი ფაქტი არავის ეგონოს, წინასწარ ჩაწყობილი იყო, რომ პრემიერი ჯერ უნდა დაეპატიჟათ და მერე მისთვის მოსაწვევი გაეუქმებინათ, ანუ თავიანთი მოკლე ჭკუით, დაემცირებინათ. ერთი ამბავი ატეხეს: აი, კობახიძეს ხელს არავინ ართმევსო. აი, დარდი, თუ არ ჩამოართმევენ. ვერც აცნობიერებენ, რომ ქართველი ხალხისთვის ასეთი საქციელის გამო ბაიდენი გამოდის ცუდი და არა კობახიძე. ჯეფრი საქსი ამერიკელებს დაფიქრებისკენ მოუწოდებს, მაგრამ ამერიკელი ელიტა დეგრადირებულია და ჭკვიან ადამიანს ველარ უსმენს.

ამერიკამ თავისი უჭკუობის გამო რუსეთთან უკრაინის ტერიტორიაზე ომი გააჩაღა. შედეგად, ნახევარი უკრაინა გაწყვიტა. გარდა ამისა, რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესეს იმ იმედით, რომ ქვეყანას შიგნიდან დაანგრევდნენ და ხალხი პუტინს თვითონ ჩამოაგდებდა. ამ დებილებს ჰგონიათ, თუ ირაკლი კობახიძეს ვახშამზე არ მიიწვევენ, ქართველები ისე ვინერვიულებთ, რომ ხელისუფლების შეცვლას შევუწყობთ ხელს.

მეგობრობა ორმხრივი უნდა იყოს. ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს მეგობრად კი არა, პაპუასად მივაჩნივართ. ამ დროს ტვინი ხომ უნდა გვეყოს — მასზე მეტად განათლებული ხარ და პაპუასად მას მიაჩნიხარ! პარლამენტის თავმჯდომარემ ახლახან განაცხადა: ყველას უნდა გავაგონოთ, რომ რვა ათასი წელი ღვინო იმისთვის არ გვიწურია, რომ უსამშობლოებმა შეგვიბილწონ; სამი ათასი წელი სახელმწიფო იმისთვის არ გვიშენებია, რომ გარედან გვმართონ; ათას შვიდასი წელი პირჯვარი იმიტომ არ გვიწერია, რომ სხვა სალოცავისკენ მიგვატრიალონო. ბევრ მსგავს იმპერიას გადაუვლია ჩვენს თავზე ცუნამივით, მაგრამ ქართველი ერი მაინც გადარჩა.

**— ქართველ ხალხს არ სურს, რომ მათ გეოპოლიტიკურ ინტერესებს შეეწიროს. ჩვენ ვთქვით, რომ ვართ ერი, გვაქვს იდენტობა და თვითგადარჩენის ინსტინქტიც...**

— 21-ე საუკუნეში ამერიკამ დემოკრატიის სახელით ბევრი სისხლი დაღვარა. ყველას ეუბნებიან: ისეთი უნდა იყო, როგორიც მე მინდაო. საერთოდ, ვინმეს თვლიან ხალხად? მათგან აღარაფერი მიკვირს. მიხარია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი გონზე მოდის. ამერიკამ უამრავი ქვეყანა, ვისთანაც მეგობრობდა და სადაც მართლა დემოკრატია, იყო სულ ტყუილად გაწირა. თუ ისე არ მოიქცევი, როგორც მათ უნდათ, მაშინვე განადგურებენ. მათ საოცრად შეზღუდული აზროვნება აქვთ, ზომბირებულები არიან. განსხვავებული აზრი აშინებთ. ამჯერად ამერიკაში სკანდალი მომწიფდა, რომელიც დღეს არ დაწყებულა. ყველა იმპერიას ბოლოს მსგავსი რამ ემართებოდა და დასასრულისკენ მიდიოდა. დიახ, პატარა ბიჭებთან სექსი ყველა იმპერიის დასასრული იყო. ეს სოდომისა და გომორას პირდაპირი ანალოგიებია. ყველა ჰეგემონი სახელმწიფო, რომელსაც უკვე ყველაფერი ჰქონდა, ასეთ გახრწნილებამდე მიდიოდა და მერე იღუპებოდა. ამ სკანდალის გახმაურება, ჰეგემონის დასასრულისკენ სვლას ნიშნავს. ასე ხდება იმპერიების დაცემის წინა ეტაპებზე.

**— 26 ოქტომბერი, პოლიტიკურთან ერთად, ფასეულობითი არჩევანიცაა. რაში მდგომარეობს ეს არჩევანი?**

— არჩევანი, რა თქმა უნდა, ომსა და მშვიდობას შორის უნდა გაკეთდეს. აქ რომ მეორე ფრონტის გახსნა უნდოდათ, ეს ხომ ცხადია. ფაქტია, „ქართულმა ოცნებამ“ მშვიდობის შენარჩუნება ძალიან დიდი ზეწოლის მიუხედავად, მაინც შეძლო. მშვიდობა უმთავრესია, რაც ქართული სახელმწიფოს გადარჩენაზე გადის.

ჩემს ყმაწვილქალობაში ასეთი გამოთქმა არსებობდა: „მკერდით გაიტანს გზას“. ეს სექსუალურ, მკერდიან ქალზე ითქმებოდა, რომელსაც თავისი „ღირსებებით“ შეეძლო, მამაკაცისთვის თავბრუ დაეხვია და კარიერაში გზა გაეკაფა. აშშ-ს ჰოლივუდის სკანდალმა სწორედ ეს გამოთქმა გამახსენა, ოღონდ უკუღმა — იქ, ოკეანის გაღმა თურმე გზა უკანალით გაიკაფების, ოღონდ მამაკაცებზეა საუბარი, თან მასობრივად! ახლა მესმის, რატომ ჩაიხადეს ასე „ამაყად“ საზღვარზე „შავსაჯდომა“ მამაკაცებმა! დიახ დღეს თურმე უკანალით ხდება ამერიკაში კარიერის გაკეთება და ამაში პოლიტიკური ელიტაც გარეულია, ობამები, კლინტონები. აი, კიდევ ერთი ფასეულობითი არჩევანი.

დღეს გვყავს თაობა, რომელიც თავისი გაუნათლებლობით ხელიდან გამოგვაცალეს. მაგალითად, ილიაუნში სტუდენტები განათლების მისაღებად კი არ დადიან, მათზე გარკვეული ზემოქმედება ხორციელდება. ასეა ლომაიას მინისტრობიდან მოყოლებული. აი, კიდევ ერთი ფასეულობითი არჩევანი, რომლის საპირწონედ ივანიშვილმა, ღმერთმა გაახაროს, უზარმაზარი თანხები ეკლესიების აღდგენასა და სპორტში ჩადო. ეს თითქოს დასავლეთისთვის უვნებელი იყო, უამრავი სტადიონი აშენდა. შედეგად, დღეს ბავშვების კერპები უკანალით გზაგაკვლეული ადამიანები კი არა, ჩვენი ფეხბურთელები არიან. მადლობა ღმერთს, ამ თაობის (მე-4, მე-5, მე-6-კლასელი) ბავშვების კერპები ფეხბურთელები, რაგბისტები არიან და არა ნარკომანები, უკუღმა მოსიარულენი და შარვალჩახდილები. ერთი თაობა, რომელიც რუსთაველზე იდგა, შეცვალეს, მაგრამ მათი მომდევნო თაობა, თურმე ირიბად, სპორტში ჩადებული დიდი ფულის წყალობით, გადარჩენილი გვყავს. ესეც ფასეულობითი არჩევანია.

განა ევროპა იმიტომ არ გვინდოდა, რომ იქ უკეთესი ცხოვრება იყო? ევროპა ჩვენი წინაპარი არ ყოფილა, პირიქით, ქართველები უფრო იყვნენ ევროპელების წინაპრები. ჩვენ არც ბარბაროსებთან და არც სკანდინავიელებთან გენეტიკურად არაფერი გვაკავშირებდა. ევროპაში სიტყვის თავისუფლება მოგვწონდა, მაგრამ ახლა ევროპაზე მეტი სიტყვის თავისუფლება საქართველოშია. იქ კეთილდღეობაც გვხიბლავდა, მაგრამ ახლა ვხედავთ, რა ხდება გერმანიაში, რომელიც ინდუსტრიული ქვეყანა იყო. უსაფრთხოებას რაც შეეხება, ევროპა ემიგრანტებით გაივსო და ზოგან ქუჩაში სიარულიც კი საშიშია. საქართველო დღეს ბევრად უსაფრთხო ქვეყანაა. თუ ჩვენ შუა დერეფნის ფუნქციას ავითვისებთ, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, უსაფრთხოება ბევრად დაცული იქნება, ვიდრე ევროპისა, რომელსაც დღეს დირიჟორი აშშ-ის წყალობით, საქმე უკუღმა მისდის. აქედან გამომდინარე, თუ საქართველო უფრო უსაფრთხო იქნება და თუკი ადგილზე უკეთესი პირობები გექნება, რატომ უნდა შეხვიდე ევროკავშირში?!

რა გვჭირს ქართველებს, რატომ გვგონია, რომ ევროპელები ვართ? ჩვენ ხომ კავკასიაში ვართ, ხალხნო. ჩვენი მეზობლები არიან: აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი, თურქეთი. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ კავკასიელები ვართ. ერთი პერიოდი საზოგადოება ეიფორიაში იყო, მართლა ეგონა, რომ ევროპაში მიდიოდა. ვიშვიშებენ: ვიღუპებით, ევროპას ვშორდებითო. არაფერსაც არ ვშორდებით, სადაც ვიყავით — სამხრეთ კავკასიაში, ისევ იქ ვართ. ევროპა სადაც იყო, იქ არის. ერთი რამ, ცხადია, ყველას გვინდა, უკეთ ვიყოთ. ამის შანსი დღეს რომ აქვს საქართველოს, ალბათ, ასეთი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ ჰქონია. თუ ამას გამოვიყენებთ და, პირველ რიგში, მშვიდობა გვექნება, არ მგონია, საქართველოზე უკეთესი ცხოვრება იყოს იმ ქვეყნებში, რომლებსაც ვითომ ვშორდებით.




**თამარ შველიძე**

# ვადაგასული პოლიტიკოსების ვადიანი მადლიერება



***რამდენიმე დღის წინ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა თანამდებობა დატოვა და „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში გადაინაცვლა. ეს ფაქტი ბევრი მისი თანაგუნდელისთვის და თავად მინისტრისთვისაც მოულოდნელი და გულსაწყვეტი აღმოჩნდა, მათ შორის ერთ-ერთი, სამინისტროს ექსპრეს-კონსულტანტი, პროფესორი იოსებ ჭუმბურიძე, რომელიც აღნიშნულ საკითხზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს.***

**- ბატონო სოსო, არაერთხელ გისაუბრიათ იმაზე, რომ წლების განმავლობაში კულტურის სფეროში არსებული უმძიმესი მდგომარეობა თეა წულუკიანმა რადიკალურად შეცვალა. ახლა კი, ვიცი, გული გწყდებათ... მგონი, თავად მინისტრისთვისაც მოულოდნელი იყო მმართველი გუნდის ეს გადაწყვეტილება?**

- ვფიქრობ, რომ დიახ, მისთვისაც მოულოდნელი იყო, თუმცა თეა წულუკიანი, როგორც ყოველთვის, ამ ამბავს მედგრად შეხვდა. მან ერთხელ თქვა, რომ ის ჩვენი ქვეყნის რიგითი ჯარისკაცია და სადაც დაუძახებენ, იქ წავა... ჩვენი, თანამშრომლებისა და ამ სისტემაში მომუშავე ხალხის გულისწყვეტა ადვილად გასაგებია. ბევრი ადამიანი მწერს, მირეკავს, გამოთქვამენ შეშფოთებას და ძალიან ბუნებრივი მგონია მათი ემოციები, რადგან შეუძლებელია, ქალბატონი თეას გაკეთებული საქმეები არ დაინახო.

საკუთარი თვალით რომ არ მენახა, შეიძლება არც დამეჯერებინა, რომ თანამედროვე უმაღლესი რანგის მოხელე მისებრი თავდადებით ემსახურებოდეს ქვეყანას! ვერ წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა, მინისტრის სამუშაო დღე 24-საათიანი ყოფილიყო. ამის სანიმუშოდ 2023 წლის ერთ დღეზე გიამბობთ: 12 საათზე - პრემიერ -მინისტრის წლიური ანგარიში - ტექნოპარკში; 15 საათზე - ფოლკლორის ცენტრში ანსამბლების მოსმენა; 18 საათზე - რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ლიტერატურული პრემია „ანას“ დაჯილდოების ცერემონიალი; 20 საათზე - დიდ დარბაზში რამაზ ჩხიკვაძის საიუბილეო საღამო...

ამ საღამოს დაწყების წინ, მინისტრის თანაშემწესთან, ქალბატონ ნონა მეტრეველთან ჩემი გაოცება გამოვხატე და ვკითხე, - კი მაგრამ, როდის სძინავს მინისტრს-მეთქი! - არ სძინავსო, მიპასუხა. მართლაც, ღამის 2-3 საათზე რომ მიგეწერა და რაღაც გეკითხა, დაუყოვნებლივ გიპასუხებდა. ასევე გიპასუხებდა გათენებისას. ვერ გაიგებდი, ეძინა თუ არა საერთოდ! შეუძლებელია ამის არდანახვა და არდაფასება, ბრმა, ყრუ, მეხსიერებადაკარგული მანქურთი უნდა იყო, რომ ეს ვერ დაინახო. მართლა სოფიო ხუნწარია უნდა იყო, რომ თქვა, თითქოს თეა წულუკიანის გაკეთებული არაფერი გახსენდება! ხომ არსებობს რაღაც ზღვარი პოლიტიკასა და ადამიანობას შორის! პოლიტიკა ხომ არ არის თავიდან ბოლომდე ჩვენი ცხოვრება?

რომ არაფერი ვთქვათ მის დიდ საქმეებზე, არც ლევილზე, არც ვატიკანზე... ერთ მინისტრს მარტო ის ეყოფოდა, რაც მან დმანისს გაუკეთა. თანამშრომლები უთუოდ მოვიწყენთ, გარეთ კი მავანნი გაიხარებენ - უნიჭონი თუ არცთუ უნიჭონი, მაგრამ მიშას რეჟიმისგან კასტრირებულნი... უკვე გამოჩნდა ამისი ნიშნები. ურცხვად ქირქილებენ უნაყოფო რეჟისორები და მათი ლიტნაწილი; მალე, მათ ალბათ, სხვებიც შეუერთდებიან - მოხსნილები და ვერმოხსნილებიც; ვერშემდგარი მწერლები და ხელოვანები, რომლებიც ვერშედგომას თეა წულუკიანს აბრალებდნენ. გულწრფელად მეცოდება ახალი მინისტრი ამათ ხელში, თუ ისიც თეა წულუკიანის მსგავსი „ქვა და რკინა“ არ აღმოჩნდება!

**- იქნებ, უკეთესი მიზნისთვის წავიდა? როგორ ფიქრობთ, თეა წულუკიანი მაინც უფრო დიდი მენეჯერია, ვიდრე პოლიტიკოსი?**

- მინდა ასე მჯეროდეს, რადგან ჩემთვის სხვა ლოგიკა არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება ძალიან დამაზიანებელი იქნება საქვეყნო საქმისთვის. კულტურის მოღვაწეებმა იციან, რომ ბევრი რამის გაკეთება მოასწრო თეა წულუკიანმა ამ სამწელიწად-ნახევარში, მაგრამ ბევრი საქმე არის შუამდე მიყვანილი და დასასრულებელი. ამბობენ, შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენო, მაგრამ არ ვეთანხმები ამას - არსებობენ შეუცვლელი ადამიანები. მაგალითად, ანზორ ერქომაიშვილის შეცვლა ხომ არ არის შესაძლებელი?!

თეა წულუკიანი შეიძლება, უფრო დიდი მენეჯერია, ვიდრე დიდი პოლიტიკოსი, თუმცა, სულ მიკვირდა, რომ ორივე ეს თვისება აქვს ამ ადამიანს, მასში ნამდვილად არის ეს ჰარმონია. ყველამ კარგად იცის, რომ თეა წულუკიანი არ არის ერთი რიგითი მუშაკი და ვერსად ვერ იქნება რიგითი თანამშრომელი. როგორ წარმოგიდგენიათ, ის რიგითი პარლამენტარი იქნება? - ყველგან გამორჩეულია, სადაც უნდა იყოს.

ამ ეტაპზე მართლა ბევრ საქმეს სჭირდება ბოლომდე მიყვანა და იმიტომაც იყო მისი წასვლა მოულოდნელი: დმანისის თეატრი, ჭიათურის თეატრი, ზესტაფონის თეატრი, უამრავი პროექტი... ყველაზე მეტად კი ის მეღარდება, რომ, როგორც აღვნიშნე, უკვე წამოყვეს თავი ბნელმა ძალებმა, რომელთაც დიდი ძალისხმევით გაუმკლავდა თეა წულუკიანი. ეს იყო ძალიან დიდი ბრძოლა. ამხელა საქმეები რომ აკეთო, ასეთი წინააღმდეგობის, დაუმსახურებელი ლანძღვისა და შეურაცხყოფის, უმადურობის ფონზე - ძალიან დიდი შინაგანი ძალა უნდა გქონდეს.

ვიდრე თანამშრომლები გავხდებოდით, ბევრ მის თვისებას ვხედავდი, მაგრამ თუ ასეთი პატრიოტი იყო, მაინც არ ვიცოდი. ნამდვილი პატრიოტია და ამიტომ უფრო ვცემ პატივს. თავი რომ დავანებოთ წინა ხელისუფლების დროინდელ მინისტრებს, „ქართული ოცნების“ დროინდელ კულტურის მინისტრებს რატომ არ ებრძოდნენ ასე გაცხარებით? - იმიტომ, რომ ისინი არაფერს ცვლიდნენ, თეა წულუკიანმა კი ატმოსფერო შეცვალა, ყველაფერი რადიკალურად შეცვალა და ამიტომ გაუჩნდა ამდენი მტერი, თორემ ისიც იჯდებოდა კომფორტულად მინისტრის სავარძელში. ის კი კაბინეტში არც ჩერდებოდა საერთოდ, მიღება ჰქონდა სხვა ოთახში და როდის იყო კაბინეტში, არ ვიცი, რადგან დილით რომ მესტიაში ხსნიდა რაღაცას, საღამოს თელავში ესწრებოდა პრემიერას.

**- წარმოუდგენელი მიღწევები გვაქვს სპორტის თითქმის ყველა სფეროში. ათეულობით წელია, ასეთი ამაყი და ბედნიერი საქართველო ჩვენი ფეხბურთელებით აღარ ყოფილა. რა გააკეთა ქალბატონმა თეამ იმისათვის, რომ ეს შედეგი დამდგარიყო?**

- ნამდვილად. ბრინჯაოს და ვერცხლის მედალი უკვე აღარაფრად მიგვაჩნია, რადგან „ოქროებით“ ვართ განებივრებული. არასოდეს ვლაპარაკობ იმაზე, რაც არ ვიცი და რისიც არ მჯერა. ეს წარმატებები და ფურორი მოიტანა სწორედ ფედერაციებში ვითარების შეცვლამ. თეა წულუკიანმა თქვა, - მე ვაფინანსებ არა ფედერაციას, არამედ, სპორტსმენს, მწვრთნელსა და ექიმს! და აქედან დაიწყო. პირდაპირ ვთქვათ, რა ვითარება იყო სპორტულ ფედერაციებში და რის ფასად დაუჯდა ამის შეცვლა თეა წულუკიანს, ყველაზე რთული მგონი, ეს იყო!

ახლა ამბობენ, რომ შესაძლოა, კულტურა და სპორტი გაიყოს და ცალკე სამინისტროებად ჩამოყალიბდეს, რაც ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება იქნება. სპორტი ისეთი აღმავლობის გზაზე დააყენა მინისტრმა, რომ მას უკვე მართლა სჭირდება ცალკე სამინისტრო. ხომ გვიხარია, რომ თეა წულუკიანის მინისტრობის პერიოდში ამდენი სპორტული მიღწევა გვაქვს, მაგრამ მხოლოდ კულტურის მინისტრი რომ ყოფილიყო, კიდევ რამდენ რამეს გააკეთებდა ამ სფეროში! ის ძალისხმევა, რაც სპორტს დასჭირდა, მხოლოდ კულტურისთვის რომ მოეხმარებინა, მართლა შეუძლებელს შეძლებდა. თუმცა, ისედაც ბევრ რამეში შეძლო შეუძლებელი.



**- ბნელმა ძალებმა წამოყვეს თავიო, ახსენეთ და მავანი ფიქრობს, რომ სწორედ ახლა არის „მათი დრო“. მაგალითად, „ნაცები“ იმუქრებიან, ხელისუფლების შესაცვლელად ყველაფერს გავაკეთებთო!**

- ყველაფერს ვიკადრებთო, უნდა თქვან - კი არ გავაკეთებთო! ყველაფერს იკადრებენ, მაგრამ განა დარჩა რამე, რაც აქამდე არ უკადრებიათ? „ქართულ ოცნებას“ თავი რომ დავანებოთ - ძალიან ძნელად წარმომიდგენია ადამიანი, რომელიც ხმას მისცემს „ლელოს“, სადაც ერთად არიან ხაზარაძე და ელისაშვილი. გვარამიაზე ლაპარაკიც არ ღირს. „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ პროკურორს, რომელიც პარალელურად, თავის დანაშაულებრივ საქმიანობაზე დოკუმენტურ ფილმებს იღებდა, ახლა თურმე ერცხვინება „ნაცმოძრაობა“ და არ უნდა, რომ მასთან იყოს ასოცირებული. ესეც ხომ სიმპტომია! ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე გახარიას საპარლამენტო სიამ. მეგონა, რომ რამდენიმე ეფექტური სახე მაინც ჰყავდა ამ ადამიანს... იმ დღეს მოვუსმინე დავით ზურაბიშვილს. მას ჰკითხეს, ბიძინა ივანიშვილმა ბევრი რამ გაგიკეთათ, სიკვდილს გადაგარჩინათ და მადლობელი არა ხართო? - კი, მაგრამ მადლიერებასაც აქვს ვადა, რამდენ ხანს უნდა ვიყო მადლობელიო, უპასუხა! თურმე მადლიერებას ვადა ჰქონია და ეს ამდენი ვადაგასული „პოლიტიკოსი“ რომ არის ქართულ პოლიტიკაში, რომლებიც ისევ ქვეყნის დაქცევაზე ფიქრობენ, ეს ნორმალურია?! საუბედუროდ, „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები და მაინც 5 ნომერი იქნება ყველაზე მრავალრიცხოვანი ოპოზიციური პარტია მომავალ პარლამენტში. ეს არის ჩვენი ქვეყნის ტრაგედია. რა ვქნათ, რეალობა ასეთია, მაგრამ მაქსიმუმ 10-15 პროცენტზე მეტ ხმას ისინი ვერ მიიღებენ. ერთხელ დავწერე, ისეთი ოპოზიცია გვყავს, რომ სხვა თუ არაფერი, მხოლოდ მათი არსებობა გაამარჯვებინებს „ქართულ ოცნებას“-მეთქი და ახლა, როცა მათ საპარლამენტო სიებს გადავხედე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში. წარმოუდგენელია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ აიღოს, ქვეყნის მტრები კი, კიდევ ერთხელ შეეცდებიან არეულობის მოწყობას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწევენ.



**ნონა ქარქაშაძე**




# დიფ-სტეიტი – მაფია დემოკრატიის ნიღბით

„როდესაც ტრამპი 2017 წელს პრეზიდენტი გახდა, განზრახული ჰქონდა „დიფ სტეიტის“ წინააღმდეგ წასვლა, რაც ვერ შეძლო. ახლა პირობას დებს, რომ დაამარცხებს „დიფ სტეიტს“ და ფუნდამენტურად განსხვავებულ საგარეო პოლიტიკას გაატარებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ ჩართულია მსოფლიოში წარმოებულ ყველა ომში, რაც მოითხოვს ძლიერ ადმინისტრაციულ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მართვისათვის. შედეგად, მაღალი, საშუალო და დაბალი დონის ბიუროკრატები პენტაგონში, სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაზვერვო გაერთიანებებსა და სხვა უწყებებში იძენენ ინტერესებს კონკრეტული საგარეო პოლიტიკის გატარებაში,“ — განმარტა ჯონ მერშაიმერმ, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა პოლიტოლოგიის მიმართულებით.

უპირველესად ის აღვნიშნოთ, რომ ამ დროისთვის უკვე ორჯერ ესროლეს დონალდ ტრამპს. ნახევრადხუმრობით ვამბობ: როგორც ჩანს, აშშ-ის მფარველ კოსმიურ ძალას არ უნდა მისი სიკვდილი, რაღაც მისიას აკისრებს. სხვა რა ვიფიქრო, როდესაც ტრამპი ორივეჯერ გადარჩა, ამ დროს კი საეჭვოდ „შემთხვევით“ იღუპება საავტომობილო კატასტროფაში ტელეკომპანია CNews-ის ის „გრძელენიანიანი“ თანამშრომელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ტრამპთან დებატების წინ კამალა ჰარისის ხელში წინასწარ მოხვდა სავარაუდო შეკითხვების სია, — ამის შესახებ რესპუბლიკელი კონგრესმენი ქალბატონი მარჯორი ტაილორ გრინი წერდა.

როგორც ჩანს, მართლა სერიოზული შიში აქვთ დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებისა, სხვაგვარად აუხსნელია მიზეზი, რაც ტრამპის მხარდამჭერ რობერტ კენედი უმცროსს გამოუჩხრიკეს — 20 წლის წინათ მკვდარი ვეშაპის თავი წაუღია სახლში, ალბათ, ფიტულისთვის და ამაზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.



გაპრეზიდენტების შემთხვევაში როგორ აპირებს დონალდ ტრამპი „დიფ სტეიტის“ დამარცხებას, გზადაგზა ვნახავთ, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ ის ვიცით, რომ მისმა გუნდმა ამომრჩეველს წარუდგინა თავიანთი ხედვა და პროგრამა ქვეყნის განათლების სისტემაში, ფაქტობრივად, კონსერვატიული კონტრრევოლუციის მოხდენის მიზნით. საუბარია ფედერალურ საგანმანათლებლო დონეზე. ე. წ. ვოუქიზმისა და „ლიბერალური ფასულობების“ სრულ აღმოფხვრაზე.

საწყის ეტაპზე, „რესპუბლიკელები“ აპირებენ, გრანტები შეუწყვიტონ იმ სასწავლებლებს, სადაც აწარმოებენ ლგბტ პროპაგანდას და აქვთ რასობრივ-გენდერული დღის წესრიგი. მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესების ინიცირებას ადგილი ექნება იუსტიციის სამინისტროს მხრიდანაც, რომლის სათავეში ტრამპი თავისი გუნდის წევრს დააყენებს;

ასევე, ტრამპი აკრძალავს სქესის შეცვლის პრაქტიკას არასრულწლოვანებში;

გააუქმებს აშშ-ის განათლების სამინისტროს და დარგის მართვა ცენტრიდან და შტატების ადგილობრივ დონეზე გადავა. სატესტო ვალდებულო სერტიფიცირება მათ რიგებში იმ კონტინგენტის გამოსავლენად, ვინც პატრიოტულ ფასეულობებს ებრძვის.

რაც შეეხება უნივერსიტეტებს — მათ მოეთხოვებათ, უარი განაცხადონ „ინკლუზიურობისა და გენდერული მრავალფეროვნების“ პროგრამებზე თავისი რასობრივ-გენდერული კვოტებით, ხოლო სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ კოლეჯებს მოეთხოვებათ, სასწავლო კურსიდან ამოიღონ „თეთრი რასიზმის, ანტიქრისტიანული და ანტიამერიკული“ პროგრამები.

გარდა ამისა, ტრამპის მომხრეები ითხოვენ, რომ ამერიკელ მასწავლებლებს ჩაუტარონ საპილოტური ექსპერიმენტი უკვე დანერგეს ფლორიდის შტატში, სადაც სკოლებში აიკრძალა ლგბტ და მოძრაობის პროპაგანდა და ჩანაცვლდა „ამერიკული ფასეულობებისა“ და „დასავლური ცივილიზაციის ტრადიციების“ სასწავლო პროგრამებით.

ადვილი მისახვედრია, რა დონის პროტესტი მოჰყვება ასეთი სახის მასშტაბურ ცვლილებებს, მაგრამ ეს მაინც არ არის დიფ-სტეიტთან ხელჩართული ბრძოლა.

მიგვაჩვიეს, რომ რაღაც სხვა ენაზე უნდა გავიმეოროთ ტერმინები, რომლებიც ლაღი ქართულით მშვენივრად გადმოიცემა. ასე რომ, „დიფ-თეითი/სტეიტი“ არის ტერმინი, რომელიც 1990-იან წლებში წარმოიშვა თურქეთში, როგორც, სავარაუდოდ, დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი „საიდუმლო მმართველობის“ ნიმუში, თუმცა შემდგომ, მისი გამოყენება ამერიკის მთავრობის მისამართითაც დაიწყო, მათ შორის, ობამას ადმინისტრაციის დროსაც. ამ თეორიამ ფართო აღიარებას პრეზიდენტ ტრამპის დროს მიაღწია, რომელიც მიუთითებდა, რომ სავარაუდოდ, არსებული „დიფ სტეიტი“ მისი და მისივე ადმინისტრაციის წინააღმდეგ მუშაობდა.

ამ ტერმინის გამოყენების პრეცედენტები 1950-იანი წლებიდან იღებს სათავეს, მათ შორის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კონცეფციასთან მიმართებით — წარმოადგენს გენერლებისა და თავდაცვის კონტრაქტორების შეთქმულებას, რომელიც ქვეყანას გაუთავებელ ომებში ითრევდა. 2017-18 წლების გამოკითხვების მიხედვით, ამერიკელების ნახევარს სჯეროდა, რომ „დიფ-სტეიტი“ ნამდვილად არსებობს ქვეყნის შიგნით.

„დიფ-სტეიტი“ არის ტერმინი იმ იდეის აღსანიშნავად, რომ მთავრობის შიგნით ერთობლივი მუშაობა მიმდინარეობს ხელისუფლების პოლიტიკაზე საიდუმლოდ მანიპულირების მიზნით და არჩეული ლიდერებისა თუ თანამდებობის პირებისთვის ძირის გამოსათხრელად გამოიყენება. ამ ადამიანებს შეუძლიათ თანამდებობები დაიკავონ სამხედრო ან დაზვერვის სფეროებში, ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა შტოებში, როგორიცაა, მაგალითად, ბიუროკრატიული სააგენტოები.

ამ ადამიანების ერთობლიობა, როგორც წესი, სამთავრობო ან სამხედრო უწყებების გავლენიანი წევრებისგან შედგება, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩართულნი არიან სამთავრობო პოლიტიკაზე საიდუმლო მანიპულაციებსა თუ კონტროლში.

„დიფ-სტეიტი“ და მისი პოლიტიკა ექსტრემისტულ იდეოლოგიას ასაზრდოებს, რაც შეშფოთების რეალურ საფუძველს წარმოადგენს.

ამერიკაში აგერ ახლახან იყო, ამერიკელი კონგრესმენი ბრაიან მასტი თავზე რომ დაჰყვიროდა გაფითრებულ და, ფაქტობრივად, ენაჩავარდნილ ენტონი ბლინკენს და ფაქტად უდებდა, როგორ აფინანსებენ ამერიკული ფულით ამერიკელი პოლიტიკოსები ასობით უცხოურ ორგანიზაციასა და ქსელებს, მათ შორის, „თალიბებსაც“.

ენტონი ბლინკენი რაღაცას ბლუკუნებდა: არ არის სწორი, რომ ფული პირდაპირ მიდის თალიბებთანო, მაგრამ ბრაიან მასტმა არ მისცა მეტყველების საშუალება, მსოფლიოს გასაგონად დაუყვირა: ტყუით! თქვენ ატყუებთ ხალხს! ის ფული, რომელიც თქვენმა შუამავალმა ენჯეო-ებმა დაურიგეს სხვადასხვა მიზეზით, პირდაპირ თალიბებთან წავიდა! არ მაინტერესებს თქვენი ტყუილები — პროკურატურის ანგარიშში გასაგებად წერია, რაშიც არის საქმე!..

ვეჭვობ, ნამდვილად არსებობს ორი ამერიკა, ერთი ამერიკის სახე პატიოსანი კონგრესმენები და პატიოსანი სენატორები არიან, მეორე მხარეს კი საშინელი სიბნელეა, სადაც მსოფლიოში ჩადენილი და ჩასადენი დანაშაული/ბოროტებების სისხლიანი დედა ბუდობს...

„დიფ-სტეიტი“ არის ხელისუფლების ტიპი, რომელიც ძალაუფლების საიდუმლო და არაავტორიზებული ქსელებისგან შედგება და საკუთარი დღის წესრიგისა და მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს ტერმინი „დიფ-სტეიტი“, ძირითადად, აშშ-ში ფესვგადგმული ბიუროკრატების ან საჯარო მოხელეების „მუდმივი ხელისუფლების“ აღწერისთვის გამოიყენებოდა, რომელიც, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან უთანხმოების შემთხვევაში, საკუთარი სააგენტოების მანდატებითა და კონგრესის წესდების შესაბამისად იწყებს მოქმედებას.

მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, „დიფ-სტეიტი“ არის გლობალური საიდუმლო დაქსელილი ორგანიზაცია, რომელიც მეტწილად ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წევრებს აერთიანებს, მოქმედებს დამოუკიდებლად და ფარულად მანიპულირებს სახელმწიფო პოლიტიკაზეც და ცალკეულ პოლიტიკურ ფიგურებზეც. მათი თანამოაზრე პარტნიორები არიან მაღალი დონის ფინანსური და ინდუსტრიული სუბიექტები, რომელთან ერთადაც ძალაუფლების დემონსტრირება ხდება აშშ-ის არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად, ან მის წიაღში — მოკლედ რომ ვთქვათ, დემოკრატიის ნიღაბქვეშ მოქმედი ერთი დიდი მაფიაა!

ვფიქრობ, თუ მარტივი ენით მეტ-ნაკლებად ნათელი ვერ გავხადე, რა ხდება ე. წ. დასავლურ სამყაროში და სად ვართ მოხვედრილები, კიდევ უფრო დავანაწევრო — ევროპა აშშ-ის ვასალი გახდა და, შესაბამისად, დაკარგა ნაციონალური ინტერესი და გლობალური ძალის წარმომადგენლად იქცა. ამ ხაზს თუ გავყვებით, ბუნებრივად გაჩნდება შეკითხვა: თვით ოკეანისგაღმელები ვისი ინტერესებით მოქმედებენ?

ამაშია საქმე! ზუსტად იგივე ხდება აშშ-ში, რაც ევროპაში — ერთმანეთს ეჯახება ძალაუფლება, ხელისუფლებისა და საზოგადოების მოწყობის ორი ტიპი, ისტორიული და ახალი, რომელიც სახელმწიფოს აღარ განიხილავს როგორც ორგანიზაციის ერთადერთ ფორმას! ნაციონალური სახელმწიფოს იდეა და გლობალისტური ძალაუფლებისა და საზოგადოების თემა, რომელსაც საზღვრები არ აქვს, გავლენები გავრცელებული უნდა იყოს ყველგან და ყველაფერში.

აი, რატომ ვირყევით ასე! აი, რატომ ვამბობ, რომ საქართველო საქართველოდ უნდა დარჩეს და არანაირად არ უნდა დავდგეთ არანაირი პოლიტიკური კურსის განსაზღვრით საეჭვოდ რყევად ტექტონიკურ პლაცდარმზე!..

მისდიოს ევროპულმა ბიუროკრატიამ ამერიკულ ბიუროკრატიას და „დიფ-სტეიტის“ პოლიტიკას, მერე კი ერთმანეთში არკვიონ ამერიკული „დიფ-სტეიტი“ ვის ემსახურება. კავკასიის ლოჟაში მჯდომმა საქართველომ კი ცივი გონებით გადაწყვიტოს, რა გვინდა, მით უმეტეს, რომ არჩევანი მწირია. ერთ მხარეს არის ტრადიციული ნაციონალური სახელმწიფო სახელმწიფოებრიობის სრული ატრიბუტიკით, მეორე მხარეს კი — დიდი კორპორაციებისა და პოლიტიკური დისკურსების ველური დასავლეთი, რის გამოც თვით აღმომცენებელ აშშ-ში ღია თუ ფარული დაუნდობლობაა გამეფებული.

ნუთუ აუცილებელია, რომ ე. წ. დასავლეთის რყევებში ჩვენ ჩავეჭყლიტოთ სასარგებლო, მაგრამ სვედამწვარი ჩოქელასავით?

**მაია ჭელიძე**

# ამერიკამ საკუთარ არჩევნებს მიხედოს...



რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, ევროკავშირს, ქართველებისთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების აუცილებლობას დამაჯერებლად უმტკიცებდა – მაკკეინის ინსტიტუტის უფროსი დირექტორი ლორა თორნტონი

ახლოვდება 26 ოქტომბრის არჩევნები და უფრო და უფრო იშლებიან ჭკუიდან საქართველოს ერთგულებისგან გადამწვარი ჩვენი დაუძინებელი მეგობრები. მესმის მათი, საკუთარი მიზნები ენგრევათ და ამიტომ საკუთარ დაკრულზევე ცეკვავენ, თუმცა მათი ეს შლეგური როკვა რომ პირდაპირი და ღია ზეწოლაა საქართველოს ხელისუფლებაზე, ამას ვინ იტყვის. გამორაკუნდა კიდევ ერთი მუქთახორა ფინტიკოზა, ვინმე ლორა თორნტონი, მაკკეინის ინსტიტუტის უფროსი დირექტორი და ახლა ამან „მოაგლაზურა“ შხამი.

პაპანდოპულო მოკვდა, მოკვდა! — მიჰყევით თქვენც, თქვე მრავალსართულიანებო! — ქალივით წყევლა დამაწყებინეს ამ მაწაკებმა. გაზეთს სხვაგვარად არ ეგების, თორემ, რა საგინებელიც ჰწკარებშუა უნდა წაიკითხოს მკითხველმა, დალოცვილად მოთქრიალებს...

ვეჭვობ, საიქიოში გადაბარგებამდე ჯონ მაკკეინმა თავის „დოგთსაშენს“ ანდერძად დაუბარა, ბოლო ამოსუნთქვამდე „მაიკლ სააკსის“ აღზევებაზე იზრუნეთო. აბა, რა რჯით? თავიანთ, აშშ-ის არჩევნებს მიხედონ, ძაღლი პატრონს რომ ვერ ცნობს, ბაიდენი — საკუთარ ადმინისტრაციას, კამალა ჰარისი კი ფატიმასავით ყველაფერზე ხარხარებს. დამჯდარა ამხელა ქალი, ეს ლორა და უსაქმურობისგან მთელი რევოლუციური სცენარი მოუმზადებია. ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა, ოფიციალურად განაცხადა, რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია ევროკავშირს ქართველებისთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების აუცილებლობას დამაჯერებლად უმტკიცებდაო.

თურმე, აშშ არასდროს ერევა სხვა ქვეყნების არჩევნებში, ის მხოლოდ რეკომენდაციებს გასცემს და აკვირდება, სხვა ქვეყნის საქმეებში მხოლოდ რუსეთი ერევა — ამ სიმართლით დაუმშვენდეთ საკუთარი და აშშ-ის გვერდები!

ამ ქალის განცხადებამ 26 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ყოველგვარი ეჭვი გაფანტა არჩევნების შემდგომი სცენარის თანმიმდევრობის შესახებ. არავითარი სივრცე არ რჩება იმის გასაფიქრებლად, რომ საქართველოში პროგნოზირებული, ვაშინგტონიდან მართული რევოლუციური გაგრძელების მოთხოვნა თითქოს უსაფუძვლო „შეთქმულების თეორიაა“.

ჩვენ არ გვითხოვია, საკუთარ თავს თვითონვე სთხოვეს, საქართველოს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ შეფასება მოამზადეთ „საქართველოს მეგობრების“ მისიის საფუძველზეო? აბა, რამ გადარია გლობალური დემოკრატიის პროგრამების უფროსი, უსაქმური თორნტონი, სად ნახა „საქართველოს მეგობრები“, რომელ პლანეტაზე — საქართველოს ერთი მეგობარი მაინც რომ ჰყავდეს, მუდმივად ასეთ გაწამაწიაში კი არ იქნებოდა...

რა მისია და რა საარჩევნო ლანდშაფტი! ამათ ერთი გრძელი და მსხვილი მახათი როგორ უნდა დააყვედრო კაცმა!

თითქოს ბრმა-ყრუები ვიყოთ და ვერ ვხედავდეთ, როგორ დაუფარავად იყენებენ გლობალური ცენტრები რაღაც ტილიან ინსტიტუტებს, ქვეყნის სადამსჯელო იარაღად.

„ევროკავშირმა უნდა განიხილოს საქართველოს კანდიდატის სტატუსის შეჩერება მანამ, სანამ რეფორმები კანდიდატობის მოთხოვნების შესაბამისად არ გატარდება!“;

„კონგრესმა უნდა მიიღოს საქართველოს შესახებ კანონმდებლობა — თუ „ქართული ოცნება“ არ გააუქმებს კანონს უცხოელი აგენტების შესახებ და ადამიანის უფლებათა საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღებას (როგორიცაა ლგბტ შეზღუდვები) განაგრძობს.“

აი, თქვენ კი გიკბინოთ მე-7 მალაზე ძალზე პუნქტობრივად ნიკო მუნჯის შავმა ვირმა!

იმ აშშ-ის ვასალმა ევროკავშირმა კიდე, საკუთარ აგონიას მიხედოს, ეგებ, კომიდან როგორმე გამოვიდეს, ის ურჩევნია, მამაჩემის ცხონებამ, თორემ საცაა, დაეშლება ეს მუქთახორების კანტორა!

მე ვინ მეკითხება, თორემ, როდესაც ცხვირწინ მართლმადიდებელი საბერძნეთის მაგალითი მიდევს, ჩამყაყებულ ევროკავშირში მიღებაზე ვაბოდებდე კი არა, მისი ხსენება მინდაღა? ბოლოდან დავიწყებ: საბერძნეთში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად თუ იყო გამოცხადებული, ერთნაირსქესიანთა ქორწინება ვერ დაუკანონეს თუ რა, რაში დაეხმარა?

ფრაგმენტი ექსპერტ-პუბლიცისტ ტასოს მიხაილიდისის პუბლიკაციიდან „რა მისცა საბერძნეთს ევროკავშირის წევრობამ?“

„საბერძნეთი ევროკავშირში 1981 წელს შევიდა. მოსახლეობის უმრავლესობა ელოდებოდა ცხოვრების დონის ამაღლებას, ეკონომიკის ზრდასა და დანაშაულებათა დონის დაწევას, მაგრამ მოხდა საპირისპიროდ. თვით „ევროპული გზის“ მომხრეები აღიარებენ, რომ ბოლო წლებში, ქვეყანამ, პრაქტიკულად, ეროვნული სუვერენიტეტი დაკარგა.“

ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობილი იერარქი, მიტროპოლიტი ნიკოლოზი: „ჩვენ წაგვართვეს ჩვენი ეროვნული იდენტობა, საკუთარი ღირსების გრძნობა და ამის შემდეგ, დამატებით, გაანადგურეს ჩვენი ეკონომიკა.“ ევროკავშირში შესვლამდე საბერძნეთი ეწეოდა სოფლის მეურნეების პროდუქტების ექსპორტს, ახლა ეწევა იმპორტს;

საბერძნეთს ჰქონდა შაქრის წარმოების რამდენიმე ქარხანა და რამდენიმე მსხვილი ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ახლა არცერთი აღარ აქვს;

ადრე საბერძნეთში განვითარებული იყო გემთმშენებლობა, ახლა ის პრაქტიკულად გამქრალია. ევროკავშირის დირექტივებმა გამოიწვია თევზჭერის, მებამბეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა განხრების შემცირება.

ევროკავშირში შესვლის შემდეგ საბერძნეთისთვის დაადგინეს კვოტები, რათა საქონლის ჭარბწარმოება არ მოხდეს. მითითებაა, რა რაოდენობის ხორცი, რძე, ატამი, ფორთოხალი, ზეითუნის ზეთი უნდა აწარმოონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევთ. შედეგად, ყველაზე მეტად მეღვინეობის დარგი დაზარალდა. მსხმოიარე ხეები და ვენახები, რომლებიც კვოტებში ვერ მოხვდა, გაიჩეხა!

როდესაც საბერძნეთი ევროკავშირში მიიღეს, მას წაუყენეს პირობა, რომ საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული საწარმოების პრივატიზაცია მოეხდინა.

1992 წელს საბერძნეთში მიიღეს კანონი პრივატიზაციის შესახებ, რომელსაც 700-მდე საწარმო ექვემდებარებოდა;

2000 წლისათვის მოხდა 27 მსხვილი საწარმოს პრივატიზება, მათ შორის, ქვეყნის ხუთი მთავარი ბანკისა;

2010 წლისთვის სახელმწიფოს წილი ეროვნულ ბანკში 33%-მდე შემცირდა.

ბანკების კვალდაკვალ გაყიდეს ტელეკომუნიკაციის კომპანია, სამშენებლო მასალების ქარხნები და კვების მრეწველობის ობიექტები.

ისმის შეკითხვა: თუ ყველაფერი გაიყიდა და დაინგრა, რითი არსებობდა ხალხი, აქამდე რატომ არაფერს ამბობდნენ?

მიხაილიდისი იქვე დასძენს, რომ მაშინ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, ვინაიდან, კრედიტები უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ძირითადი მასის შემოსავლების საკმაოდ მაღალი დონის შენარჩუნებას. როგორც ჩანს, კრედიტები ის ვალი იყო, რომელიც 2013 წლის პირველი ნახევრის ბოლოს გამოჩნდა. საბერძნეთის სახელმწიფო ვალმა 321 მილიარდ ევროს მიაღწია. დღეს უკვე 400 მილიარდ ევროზე მეტი ვალი აქვთ. თვით ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს მოსახლეობის გაღატაკებას, უმუშევრობის კოლოსალურ ზრდას, დანაშაულებათა მრავალჯერ მატებას.

ევროკავშირში ყოფნის წლებში განადგურდა საბერძნეთის ეკონომიკა; კოლოსალური დარტყმა მიადგა საბერძნეთის სოფლის მეურნეობას;

ასევე, ამ წლების განმავლობაში მიიღეს მთელი რიგი ანტიქრისტიანული კანონები: ლეგალიზებულია აბორტები, კვირა დღე უქმე აღარ არის, დაკანონებულია „თავისუფალი თანაცხოვრება“ და ერთნაირსქესიანთა ქორწინებები.“

ახლა აშშ-ის კონგრესსა და მათ ქართველ აგენტებს მოვუბრუნდები: „ფარა“ რომ აქვთ იმ დედაარღნიანებს, აი, ის „ფარა“ უნდა დაენიავებინა მათთვის ცხვირში „ქართულ ოცნებას“ და ამდენს კი არა, მცირედსაც ვეღარ წაიწკმუტუნებდნენ და ის იქნებოდა სწორი!

იტყვი რამეს — რუსეთუმე ხარ, არ ამოიღებ ხმას და გაივსო ლოგინი ფეხებით! ლგბტ საკითხზე რაღა ვუთხრა, ვატყობ, უსაქმურობის დროს, ვისაც არ ენაღვლება, ეგ მაგათი ჰობია, დაწყებული აშშ-ის ჯანდაცვის მინისტრიდან, დამთავ-






რებული გაქალებული ადმირალით.

აქეთ მოვხედოთ ისევ, ამ მაკკეინის სულის ანარეკლებს, არჩევნების შემდგომ მიტინგებზე ორპარტიული დელეგაციების გამოგზავნა და რაღაც იდიოტობები რომ აქვთ გეგმაში და რაღაც „კეთილსინდისიერების რისკებზე“ ბოდავენ.

„ქართული ოცნება“ არ იქცევა კეთილსინდისიერად, ეტყობა, რაღაც სხვა ჩანაფიქრი აქვთ, ჩახლართულ-ჩასამარყუჟებელი, თორემ ცალკეულ პირებზე თუ დაუსაბუთებლად სანქციებს აწესებენ და სხვა პირებზეც იგივეს გეგმავენ, გაუშვი საპასუხოდ აქედან „ხანჯალივით“ პერსონა ნონ-გრატა და იმის ჯანი!

გასაოგნებელი ამბავია — კრებსითმა ლორა თორნტონებმა წინსწრებით იციან საქარველოს მოქალაქეების უმრავლესობის ნება და ხალხის ნების წინააღმდეგ სამიტინგო მზადება აქვთ!

მაინც რაო, რა შვიდი ქმედება უნდა განვახორციელოთ არჩევნებამდე აშშ-ისა და ევროპის ლეშიჭამია ე. წ. პოლიტიკოსების ნაკრებმა, რომ „ქართული ოცნების“ ნაცვლად ნაოცნებარი საქართველოს ტერიტორია დარჩეს სისხლით გადაშავებული ორმოების სახითო?

**„მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს სჭირდება ერთსულოვნება სხვადასხვა სანქციასთან დაკავშირებით, მიზნობრივი სამგზავრო აკრძალვები შეიძლება შემოღებული იყოს „ქართული ოცნების“ ლიდერებისთვის, რომლებმაც ხმა მისცეს უცხოელი აგენტების შესახებ კანონს.**

**აშშ-ის კონგრესმა უნდა მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც აჩვენებს „ქართული ოცნების“ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც ამომრჩევლებს ეუბნება, რომ აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობს.**

**აშშ-ის მთავრობამ უნდა განიხილოს პირადი და ფინანსური სანქციები „ქართული ოცნების“ ცალკეული ლიდერებისთვის, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილისთვის.**

**ევროკავშირმა შეიძლება განიხილოს ქართველებისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სადავო საკითხია, რამდენიმე ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ ეს ქმედება რეალურად აჩვენებდა ამომრჩევლებს „ქართული ოცნების“ მთავრობის ქმედებების შედეგებს.**

**აშშ-ისა და ევროკავშირის საagენტოებმა მხარი უნდა დაუჭირონ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას უცხოელი აგენტების შესახებ კანონმდებლობის შეუსრულებლობაში, მათ შორის, შესაძლო ჯარიმებისა და იურიდიული გადასახადების ხარჯების ანაზღაურების ჩათვლით. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კანონის წინააღმდეგობასთან დაკავშირებით შერეული მესიჯები არ უნდა იყოს.**

**საჭიროა დამოუკიდებელი მედიის, განსაკუთრებით, რეგიონული მედიასაშუალებების ფინანსური მხარდაჭერა.**

**აშშ-ისა და ევროკავშირის ლიდერებმა საჯაროდ უნდა გამოთქვან სერიოზული ეჭვი ნებისმიერი საარჩევნო პროცესის ლეგიტიმურობის შესახებ, რომელიც შეფერხებული არაპარტიული მონიტორინგისა და წარუმატებელი საარჩევნო რეფორმის პირობებში ტარდება“.**

დახეთ, თურმე, რა ფიქრები არ აძინებთ ჩვენს გველაძუა დაუძინებელ მეგობრებს!

ეს რა არის, არჩევნების შემდეგ რა ქმედებებებსაც უწევს რეკომენდაციას, იმის გაგების შემდეგ, ნამდვილ რიგით ქართველს სურვილი გაგიჩნდება, რომ ისეთი კარგი ძარღვიანი ქართული ჭიტლაყი ამოჰკრა ამათ ყველას, რომ პირდაპირ ამერიკაში გააფრინო.

ისა და, ამ მახათდაკარგული ქალის აზრით, „საერთაშორისო თანამეგობრობა“ ვინ არიან?

„პივიტი“ კი ვიცი, რაც არის, წინა არჩევნებზე რომ ჰაეროვნად გააყალბეს, მაგრამ ამბავი გაუსკდათ და მთავარი გამყალბებელი მდედრი ისე დააწინაურეს, ახლა სადღაც უცხოეთში ყელყელაობს;

ან „დამკვირვებლებში“ ვის გულისხმობს ლორიკო, სპეტაკ აგენტ კაპიტან გიგაურს და მის რაზმს, ახლახან სენატში რომ უჩიოდა საქართველოს, თუ იმ დასტა აგენტებს, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერება/გაუქმებას რომ ითხოვენ? თუ კიდევ ჰყავს რაზმი, რომელიც ფულის მონა უცხვირპირო უცხოელებისგან შედგება?

მნიშვნელოვანი ის არის, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება აღიარებული აქვთ, ოღონდ, არ უნდა აღიარონ და ამისთვის წელებზე ფეხს იდგამენ!

**„საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი უნდა დაუჭიროს არჩევნების მთლიანობის შესახებ სანდო ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებს. ხმების პარალელური დათვლის (PVT) და ეგზიტპოლების შედეგი ასევე გადამწყვეტი იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების ოფიციალური შედეგების დასადასტურებლად.**

**ევროკავშირმა და აშშ-მა მნიშვნელოვანი ინვესტიციები უნდა განახორციელონ არჩევნების შემდგომ დამკვირვებელთა ძალისხმევაში. აშშ-მა უნდა განიხილოს კონგრესის ორპარტიული დელეგაციის შექმნა, რათა მხარი დაუჭირონ ქართველ დამკვირვებლებს, მომიტინგეებს და, შესაძლოა, როგორც შემაკავებელი ფაქტორი ძალადობისა და პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებებისა და დევნის წინააღმდეგ.**

**თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, რაც დამკვირვებლების მიერ იქნება დადასტურებული, საერთაშორისო საზოგადოება უნდა დააკვირდეს პოსტსაარჩევნო გარემოს, განსაკუთრებით ხელისუფლების პასუხს მოსალოდნელ საპროტესტო აქციებზე. „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი ვადა, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს არალიბერალური ნარატივის განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ ჩახშობასა და სადავო კანონმდებლობის მიღებას. ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა არა შეუძლებელი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს 2/3 უმრავლესობა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური ოპოზიციის აღმოსაფხვრელად და ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის მანდატების ჩამორთმევისთვის.**

**თუ საქართველო განაგრძობს თავის ავტოკრატიულ ტრაექტორიას, საერთაშორისო საზოგადოებამ საბოლოოდ უნდა განსაზღვროს: 1) ნებისმიერი პარტნიორობის ღირებულება საქართველოს ავტოკრატიულ მთავრობასთან, განსაკუთრებით, თუ გაგრძელდება ანტიდასავლური რიტორიკა; და 2) არის თუ არა „ქართული ოცნების“ მთავრობა სანდო პარტნიორი.**

**ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, ევროკავშირი და აშშ უდავოდ დაუჭერენ მხარს ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას.**

**თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია „ქართულ ოცნებას“ გამარჯვებულად გამოაცხადებს, მაგრამ სადამკვირვებლო ჯგუფებს მნიშვნელოვან შეფერხებებს შეუქმნიან, ან ისინი გამოაცხადებენ სერიოზულ დარღვევებს, რაც შედეგებს არასანდოდ აქცევს, საერთაშორისო ზეწოლა არსებითი იქნება.**

**შედეგის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა უნდა იყოს ძლიერი, განსაკუთრებით დამკვირვებელი და დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციები“.**

ეს ბოლო პუნქტი ისეა მიწერილი, ქოსას რომ წარბებს მიახატავენ. ომისა და ყველანაირი უბედურების გარდა, რისი მხარდამჭერები არიან ეს მწარედ გაქარებულები!..

**ზურა ოძხერელი**

# ცნობილი კრიტიკოსის ახალი წიგნი

გამომცემლობა „დილამ“ ცოტა ხნის წინათ გამოსცა ცნობილი კრიტიკოსის, პუბლიცისტის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის თამაზ წივწივაძის თხზულებათა მესამე ტომი, რომლის სათაურია „რაგინდ დიდი გული გქონდეს...“

სარედაქციო მინაწერში ვკითხულობთ: „თამაზ წივწივაძე — ეს სახელი და გვარი მუდამ ასოცირდება მძაფრ კრიტიკულ წერილებთან, ირონიასა და სარკაზმამდე მისულ იუმორთან, არადა, მწერლის შემოქმედება საკმაოდ მდიდარია წერილებით, სადაც ის გამოწვლილვით შეისწავლის ამა თუ იმ კოლეგის შემოქმედებას, აღფრთოვანებას გამოხატავს პოეტისა თუ პროზაიკოსის მიერ მიგნებული მხატვრული სახეებით, სიყვარულითა და სითბოთი გაჯერებული სტრიქონებით ეხმიანება იუბილარ თანამოკალმეებს... ამ წიგნით შევეცდებით, მკითხველს თამაზ წივწივაძის — კრიტიკოსისა და პუბლიცისტის, მეგობრისა და კოლეგის — ეს შედარებით ნაკლებად ცნობილი მხარე წარმოვუჩინოთ“.

„რაგინდ დიდი გული გქონდეს...“ რვა თავისგან შედგება: პუბლიცისტური პროზა, დოკუმენტური მასალების კუთხე, სიყვარულით გაჯერებული სტრიქონები, მკითხველთა თხოვნით, შეურიგებელი კრიტიკოსის „დადებითი“ წერილები, ჟურნალისტობა თავის გამოჩენის მიზნით ავირჩიე, ცრემლნარევი შეხმიანება მეგობრებს, დღეს დღეობაა ჩემი მეგობრის.

ამ ტომის შემდგენელია (ისევე, როგორც თამაზ წივწივაძის გარდაცვალების შემდეგ გამოსული მისი ყველა წიგნისა) დოდო წივწივაძე, რედაქტორი — ელისაბედ მეტრეველი, მხატვარ-დიზაინერი — მალხაზ კუხაშვილი.

წიგნის შეძენა შეგიძლიათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში მისამართზე:

ზანდუკელის ქ., N1; ტელ.: 2 93 69 77, ან 568 90 81 22.

**გამოცემის ღირებულებაა 15 ლარი.**



# ამერიკასთან მტრობა სახიფათოა, მეგობრობა კი – დამღუპველი!



არის ერთი ფრიად საყურადღებო ანდაზა, რომელიც აშშ-ის მეზობელ ქვეყნებში შეიქმნა დიდი და მწარე გამოცდილების საფუძველზე: „აშშ-სთან მტრობა სახიფათოა, მასთან მეგობრობა კი - დამღუპველი!“. ამ ჭეშმარიტებას ახლა აშშ-ის ახლო მეზობლები კი არა, ის გადამთიელებიც მიხვდნენ, რომლებსაც ნეოლიბერალური იდეოლოგიის, იგივე რეინკარნაციული ტროცკიზმისგან ტვინი არ აქვთ გალაყებული.

ამერიკული დემოკრატია რომ ბრიყვების სატყუარა, ანუ ანკესზე წამოგებული ჭიაყელა იყო, გონიერმა ადამიანებმა დიდი ხანია, იცოდნენ. გასული საუკუნის 20-იან წლებში ვლადიმირ მაიაკოვსკიმ აშშ-ში იმოგზაურა და, ალბათ, ბევრს ახსოვს მისი ერთი, მაშინდელ შთაბეჭდილებებზე დაწერილი ლექსის სტრიქონები: „მე ამერიკას დავხურავდი, გავწმენდდი ფრთხილად და ამის შემდეგ ხელმეორედ აღმოვაჩენდი!“

ამერიკული დემოკრატია ვინ გაიგონა, ნეტავი! ამერიკული მხოლოდ ძალადობა არსებობს და ეს ძალადობა ძალიან ჰგავს ბრძოლას წესების გარეშე! სწორედ ამერიკაში განხორციელდა რეალურად ძველისძველი ანტიკური შეგონება - „რაც იუპიტერს ეპატიება, იმას ხარს არავინ აპატიებსო“.

ამერიკის (იგულისხმება აშშ!) სახელმწიფოს ძალადობრივი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა გენეტიკურად არის დაკავშირებული ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე გადასახლებულების მიერ დაარსებული სახელმწიფოს ისტორიულ საფუძვლებთან.

ვინ იყვნენ ისინი, ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე ბედისა და ახალი საცხოვრისის საძიებლად რომ წავიდნენ? ისინი იყვნენ თავზეხელაღებული, ცხადია, მამაცი ყაჩაღები (რომლებმაც შემდგომში „პრესტიჟული“ სახელი - განგსტერი დაირქვეს!), რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ აღჭურვილი. არავითარი სხვა არგუმენტი იმისა, რატომ მიადგნენ კარზე იქაურ ხალხს საარსებო სივრცისა და საშუალების მიღების სურვილით, ერთადერთი არგუმენტი მათთვის „კოლტი“ და თოფი იყო!

რის პოლიტიკა, რისი დიპლომატია! ამერიკული ცივილიზაცია ჯერ არ იყო მისული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამდე, ამიტომ ევროპელ კონკისტადორებს (და არა რაინდებს!) დიდი უპირატესობა ჰქონდათ, რაც ფრიად წარმატებით გამოიყენეს კიდეც!

ისეთი დაუნდობლობა, რაც ევროპელმა კონკისტადორებმა ჩაიდინეს ამერიკის კონტინენტზე, არც მანამდე და არც მას შემდეგ სმენია კაცობრიობას. ეს იყო ულმრთოთა, უზნეოთა, სულით ხორცამდე სატანის მოთაყვანეთა შაბაში, რამაც ამაზრზენი და შემზარავი მაგალითები დაუტოვა მომავალს და იმის რწმენაც ჩანერგა შემდგომ თაობებში, რომ ადამიანი ყველა ცხოველზე უარესი ცხოველია!

პისტოლეტისა და თოფის ვირტუოზულმა მფლობელებმა შექმნეს ამერიკული სახელმწიფო და ძალადობის კულტი და დიქტატურა დაამყარეს. დიქტატურა, საერთოდ, ცუდი არ არის, თუ დიქტატორი გონიერებასა და ნიჭს იყენებს იარაღად, ასეთებიც ახსოვს კაცობრიობას: მაკედონელი, ცეზარი, კრომველი, ნაპოლეონი, სტალინი... ისინი დიდი საკაცობრიო, ცივილიზაციური პროგრესის მოთავეები იყვნენ, მაგრამ ამერიკელი მოძალადეები ცეცხლსასროლი იარაღის დიქტატორები იყვნენ, რომლებმაც თხუთმეტი საუკუნის წინათ დასრულებული მონათმფლობელობა წარმატებით აღადგინეს ამერიკის კონტინენტზე, უფრო არაადამიანური და სასტიკი ფორმით.

მართალია, აბრაამ ლინკოლნმა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში მონობა - რასიზმის ახალი ფორმა კანონით გააუქმა, მაგრამ ის დღესაც აშშ-ის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტია.

ვისაც არ ახსოვს, რისთვის მოკლეს აშშ-ში შავკანიანთა უფლებებისათვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი, კონდოლიზა რაისის მემუარები მაინც წაიკითხოს, რომელიც სულ ახლახან აშშ-ს სახელმწიფო მდივანი იყო და დღესაც, ჩემი აზრით, კარგად და ჯანმრთელად არის.

სხვათა შორის, ამ ჩვენს ტვინნაღრძობ ზოგიერთ ე. წ. პოლიტიკოსს, რომლებსაც აშშ სიკეთისა და წესრიგის ეტალონად მიაჩნიათ და რამდენჯერაც საკუთარი სისულელე არ გაუვათ, კეთილ ძია სემთან გარბიან საჩივლელად, უნდა შევახსენო დიდი ამერიკელი მოაზროვნის ხოსე ორტეგა ი. გასეტის ნათქვამი: „ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ცივილიზაციური მიღწევების უკან ველური საზოგადოება იმალება!“

ჟამს, ისევ გული მიეცათს, მაგრამ ნეო ლიბერასტული შხამით მოწამლულთა გარდა, ყველა ხედავს ამას!

ერთი ცნობილი უცხოელი პოლიტექსპერტი, ამას წინათ რიტორიკულ შეკითხვას სვამდა: ნეტავი, რა მოხდა, რომ პოლიტიკოსების დიდმა ნაწილმა სირცხვილი დაივიწყაო! ეს, პირველ ყოვლისა, ევროპა-აშშ-ის პოლიტიკოსებს ეხება. ისინი ისეთ, აშკარად არადიპლომატიურ, არაპოლიტიკურ უვიცობაზე დაფუძნებულ, მოკლედ, სულელურ განცხადებებს აკეთებენ, რომ სირცხვილის გრძნობა მართლაც აღარ ჰქონიათ და ეგ არის! თანაც ასეთ განცხადებას არა რიგითი ჩინოვნიკები, არამედ ქვეყნის უმაღლესი პირები აკეთებენ.

აი, მაგალითიც. ახლახან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა

ჩვენი ქვეყნის და აშშ-ის ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობა კი არა, ბატონყმური ურთიერთობაა, იცით, ეს თქვენ, ძვირფასო ხელისუფლებავ, მაგრამ ის ვერ გავიგე, ვერც მე და ვერც სხვა საღად მოაზროვნე ჩემმა მეგობრებმა. ამით ის თუ გინდათ, რომ ბოროტ კაცებს მეგობარსა და მოკავშირეს თუ დაარქმევთ, დაირცხვენს და თქვენი მეგობარი გახდება, არა მგონია მე და არც თქვენ გეგონოთ, იქნება. რა საიდუმლოება იცით ასეთი, რითაც მგელს კრავად გადააქცევთ, მაცოდინოთ, იქნება!

რომ არაფერი გწყენოდათ, გავიხუმრე ცოტა, თორემ თქვენ რომ იცით და შეგიძლიათ, ბევრმა როდი იცის ის, მაგრამ თქვენი „სტრატეგიული“ მეგობრობის საიდუმლოება მაინც ამოუცნობია ჩვენთვის და




იქაური ჭკვიანი კაცის ნათქვამია ეს და ვიღაც „კაპიტან“ გიგაურზე, კუპონასა თუ ჭიჭე ვაშაძეზე მეტი ეცოდინება, ალბათ.

პატივცემულო ხელისუფლებავ, რაიმე არასწორად ვთქვი? მეთანხმებით? თუ ასეა, რატომ გეგონათ, ან ახლაც გგონიათ აშშ ჩვენი ქვეყნის მეგობარი და სტრატეგიული მოკავშირე? როგორ შეიძლება, მსოფლიო ბატონობის მოსურნე ვინმეს მეგობარი იყოს? არც ყოფილა და არც იქნება!

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მოკავშირე აშშ-ს, ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის ატომური ბომბებით განადგურების გეგმა ჰქონდა შედგენილი. დასაბომბი ქალაქების სიაში თბილისიც „საპატიო“ ადგილზე იყო!.

ამ ბოლო ხანებში (აშშ-ის მსოფლიო ბატონობის ბოლოჟამია სწორედ!) „ქართული ოცნების“ ლიდერები ხშირად ამბობენ, ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის სრული თვითლუსტრაცია მოხდაო, რა ლუსტრაცია სჭირდებოდა, ნეტავი?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ ასზე მეტ ქვეყანაში შეიჭრა ხელისუფლების დამხობისა და მისთვის სასურველი რეჟიმების დამყარების მიზნით. ბევრგან გამოუვიდათ, სადაც კარგად მომზადებული აგენტურა, ანუ შინა გამყიდველები ჰყავდათ, ზოგან სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ, მაგრამ ახლა, ამ ბოლო სამსახურეობრივი მოვალეობის კარგად შესრულებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი მაღალი თანამდებობის პირი დაასანქცირა, პარლამენტზე შტურმის მონაწილეთა წინააღმდეგ ფიზიკური ძალა რატომ გამოიყენეთო!

მისტერ ბლინკენ! - მორიდებით შეგახსენებთ, - შე მამაცხონებულო, ვაშინგტონში კაპიტოლიუმში შეჭრილი თქვენი თანამოქალაქენი ადგილზე რომ დახვრიტეთ (5 ადამიანი), 200-მდე კი ციხეში გამოკეტეთ ხანგრძლივი ვადით, იგივე საქციელისთვის ჩვენმა პოლიციელებმა ძალა რომ გამოიყენეს, ეს ძალადობაა და თქვენ მოფერებით დაუშინეთ ავტომატის ტყვიები? სირცხვილი არ იციან, „დაგენაცვლე“, თქვენში?

თუ ოდესმე გაგვიმხელთ, გამოგვადგეს, იქნება, ორივეს!

მე კი ისევ ამერიკასთან ურთიერთობის დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით იმას გირჩევთ, რადგან უკვე ისეთ თავხედობას ბედავენ, რომ ფეხებზე იკიდებენ ჩვენს ღირსებას, ვინაობას და სადაურობას, დროა, პირდაპირ და უშიშრად ვურჩიოთ ამ „დაუძინებელ“ მეგობრებს: „იანკი, გოუ ჰოუმ!“ მათსავე ენაზე, რა თქმა უნდა, თორემ ჩვენებურად ერთი ათამდე სინონიმი ვიცი ამ ფრაზისა, რომელთა უმეტესობა ნამეტნავად ხორკლიანია! ამიტომ, მათსავე ენაზე ზრდილობიანად ვურჩიოთ - „იანკი, გოუ ჰოუმ!“- თქო.

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი




**P.S. ერთ რჩევასაც მოგცემთ და ამით დავემშვიდობები ხელისუფლების მასწავლებლის უმადურ პროფესიას.**

**ეს ამდენი (უთვალავი) ენჯეო რომ გააჯეჯილეთ საქართველოში, ვინ გირჩიათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივი ორგანიზაციებია და საზოგადოებრივ სექტორს წარმოადგენენ. საზოგადოება ირჩევს ხელსუფლების უმაღლეს ორგანოს, რითაც თავისი უფლებების დელეგირებას ახდენს პარლამენტში. პარლამენტი ჩვენი ლეგიტიმური უფლებით ქმნის მთავრობას, სასამართლოს, სხვა სამართალდამცავი ორგანოებსა და მავან სტრუქტურებს. ჩვენ საზოგადოება არ ვართ? ამ. ე. წ. ენჯეოებს საკუთარი აგენტების თავშესაფრად ქმნიან უცხოელები და ამას დემოკრატიას ეძახიან და თქვენ უჯერებთ მათ? დაუჯერეთ და ა, ბატონო, ხედავთ ალბათ, სადამდე მივედით...**

**არცერთ ღირსეულ, სუვერენულ და უაღრესად წარმატებულ ქვეყანაში „ენჯეოკრატია“ არ არის, ან - აღარ არის! ასეა ეს!**

# „თეთრი ქარავანი“, „მაია წყნეთელი“, კეთილი დევი და მე...

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N32)

1959 წელს ეკრანებზე გამოვიდა რეზო ჩხეიძის ფილმი „მაია წყნეთელი“. ფილმში ცხენი, რომელიც მაია წყნეთელისაა (ლეილა აბაშიძე), პლატო ძიას „ვასკაა“. ძალიან ეშინოდა თურმე ლეილას ცხენის. პლატო ძია ამშვიდებდა, ჩემი გაწვრთნილი ცხენია, ნუ გეშინია, შეიყვარე, მთავარია იგრძნოს, რომ გიყვარს და მის ზურგს შეიგრძნობო. ეტყობა, ლეილამ იფიქრა, ცხენს თავს ქრთამით შევაყვაროებო და ჩუმად შოკოლადებს აჭმევდა. პლატო ძიას დაუნახავს და სიცილით აუკრძალა, ნუ აჩვევ, გოგო, მერე მე საიდან მოვუტანო მთაში შოკოლადებიო.

პლატო ძია აღნიშნავდა, ძალიან ყოჩაღი ქალი იყო ლეილა, შინაურული, თან დამჯერი, ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ვარიგებდი და ტანიც ყოველთვის ისე ეჭირა, ერთხელ როგორც დავარიგეო. განსაკუთრებით აღნიშნავდა გოჩა აბაშიძის გარეგნობას და რეზო ჩხეიძის ვაჟკაცობას. სხვათა შორის, „თეთრი ქარავანის“ გადაღებების დროს ხაზს უსვამდა ფილმის მთავარი რეჟისორის, თამაზ მელიავას ქართულ სულს, ელდარი ცოტა წაირუსულებსო, რეზო ჩხეიძეზე კი ამბობდა, ნამდვილი ქართველი ვაჟკაციაო...



„მაია წყნეთელის“ გადაღება თელავში, ერეკლეს სასახლესთან და გრემი-ენისელის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ცხადია, მოსახლეობას აინტერესებდა მსახიობების პირადად ნახვა და ფილმის გადაღების პროცესისთვის თვალყურის დევნება, ამიტომ გადასაღები მოედნის სიახლოვეს მუდმივად ბევრი ადგილობრივი მოსახლე იყო, რაც გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. გადაღებები რომ დასრულდებოდა, მსახიობების პატივსაცემად თელავის ნაღები საზოგადოების ინიციატივით, შებინდებულზე ქეიფი იმართებოდა და გაუდიოდათ გუგუნი.

ერთ დღეს მოდის თურმე პლატოა ძია თავისი „კოლხოზნიკით“, მაგრამ ველარ მოდის, ფილმის გადაღების მაყურებელი ხალხია იმდენი, რომ გზის სავალ ნაწილს ხერგავენ. როგორღაც ცოტა გაუღწევია და ვირის „ტაჩკას“ გადაუღობია გზა, რომელზეც მოხუცი გლეხი იჯდა. პლატო ძიას დაუტატანებია, შენ რაღა დაგემართა, ამ დაბერებულ კაცს, დაეტიე მაგ შენი „ტაჩკით“ სახლში, ვენახს მიხედე, რა კინოს ყურება აგიტყდა, სად მიდიხარო. მოხუცს არაფერი უთქვამს.

საღამოს, ყველანი რომ შეკრებილან, აკაკი კვანტალიანს უთქვამს პლატო ძიასთვის, რა იყო, პლატონ, დღეს რატომ არ მომესალმეო? გაოცებულა პლატო ძია, მთელი დღე მატყლის ჩაბარების ამბებს ვაწესრიგებდი, სად მინახიხარო? აკაკი კვანტალიანს უთქვამს, დღეს რომ დამიტატანე, სახლში რატომ ვერ დაეტევი მაგ შენი „ტაჩკითო“, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე, რომ ვერ მიცანი, რა კარგი გრიმი გამიკეთებიაო.

პლატო ძია ყველანაირად გვერდზე ედგა ფილმის შემოქმედებით კოლექტივს — ასეთი კაცი იყო, გულითადი და დევივით ყოვლისშემძლე, მისი გაუკეთებელი საქმე არ არსებობდა, შეუძლებელს შეძლებდა...

იმ დროში, გასული საუკუნის 70-იან წლებში, რიგითი საბჭოთა მოქალაქის, ვიღაც მეცხვარის მიერ ვერტმფრენის საკუთარი მიზნებისთვის „აეროფლოტიდან“ მოხსნა“ როგორი წარმოსადგენია? რაგინდ ფული გადაეხადა დამქირავებელს პილოტისთვის (ორნი იყვნენ), ეს ამბავი რომ „გამსკდარიყო“, რამდენ ადამიანს რა ელოდა, წარმოგიდგენიათ? მისი გულითადობის, კაცობისა და უღალატობის დამსახურებით, პლატო ძიას ესეც შეეძლო!

1970 წლის ზაფხულში თელავის აეროპორტიდან აფრინდა ვერტმფრენი და გაურკვეველი მიმართულებით გაფრინდა, რეალურად კი დაღესტნის მთებში, სიმურის ხეობაში. სიმური სიდიდით მეორე მდინარეა დაღესტანში და ნაწილობრივ წარმოადგენს რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარს. ჩვენ საქართველოს მხრიდან შევფრინდით და ხეობებში განსაკუთრებით საიდუმლო შპიონებივით დაბლადაბლა მივფრინავდით.

სადღაც დასვეს ვერტმფრენი, მაგრამ ვაი იმ დასმას, კაი ხანს ჰაერში ვტრიალებდით, ვიწრო ხეობაში, მდინარის ქვაღორღიან ნაპირზე დასაჯდომ ადგილს ვერ აფიქსირებდნენ.

პატარა, მაგრამ აზრიანი ბავშვი ვიყავი. რომ გადმოვედით და მიმოვიხედე, სადაც ჩავკვეხებულვართ, პირი ღიად დამრჩა, გუნებაში გავიფიქრე, რომ გავიზრდები, მე ასეთ რამეს არ ვიზამ-მეთქი.



გადმოვათრიეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და ვიყურებოდით უაზროდ. ადამიანის ჭაჭანება არ არის. სამი მხრიდან თვალუწვდენელი ტყიანი მთები გვაკრავს, მეოთხე მხრიდან ასევე თვალუწვდენელი, მაგრამ მთლად ტიტველი მთა, გვერდზე კისრისტეხით მიექანება მდინარე და თავზე ხუფივით გვადევს ულურჯესი ცა, თან ისე ახლოს, რომ გგონია, ხელით შესწვდები. შემეშინდა. შორიდან ძაღლების ყეფა მოისმა. მეშინია სხვისი ძაღლების, მაგრამ იმ იდუმალ ადგილზე ისე გამიხარდა მათი გაავებული ყეფის გაგონება, კინაღამ სიმღერა შემოვძახე. დედაჩემმა შეწუხებულმა იკითხა, ვინ მოგვეხმარება ამ ბარგის გადათრევაშიო? პილოტის, ტარიელის პასუხი მახსოვს, ხმა გაიგეს და უკვე მოდიანო. დედაჩემი გაოგნდა, აქ არავინაა და ვინ რა უნდა გაიგოსო? ექოთი მთელმა ხეობამ გაიგო, — გაიცინა ტარიელმა. ამ ამბიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ტარიელი მთებში ჩამოვარდა და დაიღუპა მეწყვილესთან ერთად. მახსოვს, ამბობდნენ, „რადისტი“ სკამიანად იყო მოწყვეტილი და სავარძელზე დაბმულს ორივე ხელით მიწა ჰქონდა ჩაბღუჯული, ცოცხალი დაცემულაო...

პანტაპუნტით არ ცვიოდნენ ვერტმფრენები, მაგრამ პირადად მე იმდენი ჩამოვარდნის ამბავს ვარ მოსწრებული, თითქოს რაღაცნაირად შეგუებული ვარ ვერტმფრენის ჩამოვარდნას — იმის შიში არ მაქვს, რომ, თუ ჩამოვარდა, თუნდაც ფრჩხილი მომტყდება.

ერთ დღეს ბიცოლაჩემმა გადაწყვიტა, მე და მისი შვილი, ლადიკო თუშეთში გადავეფრინეთ ერთი-ორი დღით. აეროდრომზე ერთი წიწილებიანი კაცი დაგვხვდა და ჩვენ ვიყავით. ის იყო, უნდა ავფრენილიყავით, რომ ორი თუში კაცი მოვიდა, ერთი მათგანის გვარი ახლაც მახსოვს, როგორც „ცუდი კაცისა“ და გადმოგვსხეს, თქვენ მერე გამოყევით, უკან რომ მობრუნდება, ჩვენ გვეჩქარებაო და გაავსეს ვერტმფრენი ბიდონებით. როგორმე ჩავეკვეხებითო, ეძალავებოდა ბიცოლაჩემი, მაგრამ არ გაგვიკარეს, ის წიწილებიანი კაციც გვერდზე ამოგვიყენეს. აფრინდა ვერტმფრენი და გავაყოლეთ თვალი დაჩაგრულებმა, ვუყურებდით, სანამ ვიწროებში არ შეფრინდა. ისე მობრუნდეს თქვენი მტერი, ის ვერტმფრენი რომ მობრუნდა... მთებში მყოფმა მეცხვარეებმა ავიაკატასტროფის ამბავი ექოთი გაიგეს და რამდენიმე დღის შემდეგ მათვე იპოვეს კატასტროფის ადგილი. მხოლოდ ის „ცუდი კაცი“ გადარჩა...

მოკლედ, დავფრინდით ბაინდურის ნაბინავარში. მდინარის ერთ მხარეს, ერთ დიდ კარავში ჩვენ ვცხოვრობდით: მე, დედაჩემი, პლატო ძიას მეუღლე ივლიტა და მისი ორი გოგონა, თინიკო და ნინიკო, ხოლო მდინარის მეორე მხარეს კაცები: პლატო ძია, მისი შვილი ზურა, ვანია ძიას შვილი ნოდარი და მეცხვარეები, ძაღლები, ჯორ-ცხენი და ცხვარი — ბატკანი მაღლა, მთლად ალპურ ზონაში იყო დაბინავებული. ღამე დათვმა მოინდომა კარავში შემოძრომა. ძალიან მოცუცქნული ვიყავი და დედაჩემი ისე გადამაწვა დასაცავად ზემოდან, კინაღამ გამგუდა. სანამ მეორე ნაპირიდან მდინარეს გადმოცურავდნენ მოსაშველებლად ძაღლები და თოფიანი კაცები, კი დაგვტორავდა დათვი ყველას... უკუნეთი სიბნელე იყო, მაგრამ ძაღლებმა სუნი იკრეს, გამოიწივნენ გამოსაცურად და გაიქცა დათვი, კაცებმა თოფის ხმაღა მიაყოლეს...

ერთ დღეს ჯორი უნდა გაეხედნათ. პატარა კი ვიყავი, მაგრამ თუშეთის ტყე-ველში გამოჟეკილი ბავშვი ადვილად აღვიქვამდი ყველაფერს, რაც ფლორა-ფაუნას ეხებოდა — ლამაზი ჯორი იყო, შავი, მბზინავი ბალნით, დაცქვეტილი ყურებით და ძლიერი სხეულით. იმდენად შთამბეჭდავი იერი ჰქონდა, დღემდე ამაყ ცხოველად ჩამრჩა გონებაში და არა ჯიუტად. ჯერ ხომ სამი-ოთხი, მართლა ჯორივით ჯანიანი კაცი ძლივს აკავებდა საბელით, თან კისერზე ეკიდებოდნენ, ოთხი კიდევ ქვიან ტომრებს უმარჯვებდა, რომ ზურგზე გადაედოთ მისთვის. ჯორი ტლინკებს ყრიდა და საშინელ ხმებს უშვებდა. მოათავეს ტომრების აკიდება და მიუშვეს. ჯორმა, რომ ნახა, აღარავინ მიჭერსო, დაჰკრა ფეხი და ტომრებიანად გაქუსლა. თურმე, რომ დაოსდება ტვირთის მოშორების მცდელობით, ბედს ეგუება და ტვირთიანად ბრუნდება „ოჯახში“. მოვიდა მეორე დღეს და მორჩილად დადგა... მანამდე ძალიან მომწონდა ის შავი ჯორი, მაგრამ დაბეჩავებული აღარ მომეწონა...

ერთი გაუთლელი მორი იყო მდინარეზე გადებული და ეგ იყო მეცხვარეებთან ჩვენი დამაკავშირებელი გზა, ვერ დაიცავდი წონასწორობას და მდინარე სიმურში ტყაპანს მოადენდი.

ჩვენ „სიმურს“ ვამბობთ, ადგილობრივები „სამურს“ უწოდებენ. ერთი ვერსიით, „სამური“ რუთული ენიდან დაერქვა და მდინარეებისგან გაერთიანებულ ერთ მდინარეს ნიშნავს; სხვა ვერსიით, სამური ანტიკური ხანის მწერლებთან ნახსენები მდინარე ალბანუსია; ლეზგები სულაც „ჩვეხერ ვაცლს“ უწოდებენ — „ჩვეხერის მდინარეს“, მიტოვებული სოფლის სახელს; ენათმეცნიერ ოლეგ რუბაცოვის მოსაზრებით, „სამური“ ინდოარიული სიტყვების კომბინაციით არის მიღებული და „წყალუხვს“ ნიშნავს. ასეა თუ ისე, თუ წაგიღო წყალუხვმა სიმურ-სამურმა, ჯეირანბანის წყალსაცავში ჩაგიტანს...

ერთ დღეს დიდი წვიმა მოვიდა, მერე მთელი კვირა ჟინჟღლავდა და წყალმა ეს საცალფეხო ხიდიც მოგვტაცა...




(გაგრძელება იქნება)

# რა ღირს დუმილი?

## ამერიკის პრეზიდენტებთან დაკავშირებული სექსუალური სკანდალები



### ჯონ ადამსი

აშშ-ის მე-2 პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1797-1801.

ჯონ ადამსი პირველი პრეზიდენტია, რომლის პოლიტიკური რეპუტაციის შელახვის მიზნითაც გამოიყენეს სექსუალური სკანდალი. ეს 1880 წელს მოხდა, როცა ადამსი მეორე ვადით იყრიდა კენჭს პრეზიდენტობაზე. ადამსი იმაში დაადანაშაულეს, რომ სახელმწიფო ფულით გაგზავნა თავისი მეგობარი ევროპაში, რათა მისთვის შესაფერისი საყვარელი ეპოვნა. შედეგად, მეორე ვადით იგი პრეზიდენტი ვეღარ გახდა.



### თომას ჯეფერსონი

აშშ-ის მე-3 პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1801-1809.

ყველაფერი ჯერ კიდევ საფრანგეთში დაიწყო, სადაც ამერიკის წარმომადგენელ ჯეფერსონს გათხოვილ პარიზელ ქალბატონებთან მრავალრიცხოვან სასიყვარულო ურთიერთობებს მიაწერდნენ. კერძოდ, იმ დროის ცნობილ მუსიკოსთან და მხატვართან მარია კოსუეისთან.

იმასაც ამბობდნენ, რომ პარიზში მას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა თავის 14 წლის შავკანიან მონასთან სალი ჰემინგთან. წინასაარჩევნო პერიოდში კონკურენტებმა ჯეფერსონის წინააღმდეგ გამოიყენეს ლოზუნგი „ჩვენი ცოლები და შვილები ლეგალური პროსტიტუციის მსხვერპლი არ უნდა გახდნენ!“.

### ჯეიმს გარფილდი

აშშ-ის მე-20 პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1881-1885.

პრეზიდენტის მეუღლემ სასიყვარულო წერილები აღმოაჩინა, საიდანაც ნათელი ხდებოდა, რომ მას (ჯეიმსს) ორი საყვარელი ჰყავდა, რომლებიც მისის გარფილდის კარგი ნაცნობები იყვნენ.

გარფილდს მიაწერდნენ, ასევე, „ნიუ-იორკ თაიმსის“ 18 წლის თანამშრომელთან ინტიმურ კავშირსაც.

### გროვერ კლივლენდი

აშშ-ის 22-ე პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1885-1889.

სექსუალური სკანდალი 1884 წელს გახმიანდა. მრავალრიცხოვანი მიტინგის დროს ერთმა ქალბატონმა განაცხადა, რომ კლივლენდი მისი შვილის მამა იყო. სკანდალის ორგანიზატორი რესპუბლიკური პარტია აღმოჩნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გროვერ კლივლენდმა აღიარა მამობა და განაცხადა, რომ „შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა ნიუ-იორკის მერი იყო“. მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო არჩევნებში გამარჯვება.

### უორენ ჰარდინგი

აშშ-ის 29-ე პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1921-1923.

1905 წლიდან, პრეზიდენტად მის არჩევამდე, 1920 წლამდე, ჰარდინგს ინტიმური კავშირი ჰქონდა თავისი ახლო მეგობრის ცოლთან კერი ფილიპსთან.

ამერიკის პრეზიდენტობისთვის გამართული წინასაარჩევნო მარათონის დროს საყვარელმა მოსთხოვა, რომ ჰარდინგი ცოლს გაყროდა, რათა თავად გამხდარიყო პირველი ლედი. რადგან ამგვარ სკანდალს მისი პოლიტიკური კარიერის განადგურება შეეძლო, მომავალმა პრეზიდენტმა მისის ფილიპსს ამ „შეთავაზებაზე“ უარი უთქრა და დუმილისთვის სოლიდური თანხაც გადაუხადა.

პრეზიდენტის მომდევნო პასია მისი მეგობრების ქალიშვილის ნენ ბრიტონი გახდა, რომელიც პრეზიდენტზე 31 წლით ახალგაზრდა იყო, რასაც მათ ურთიერთობაში ხელი არ შეუშლია.

უორენ ჰარდინგის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ნენ ბრიტონმა გამოაქვეყნა წიგნი სათაურით „პრეზიდენტის ქალიშვილი“, რომელიც ბესტსელერი გახდა. მონოგრაფიაში ქალმა დაწერა, რომ ჰარდინგისგან ქალიშვილი ჰყავდა, რაც მრავალი წლის შემდეგ ჩატარებულმა დნმ-ის ანალიზმაც დაადასტურა.

### ფრანკლინ დელანო რუზველტი

აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1933-1945.

ფრანკლინ რუზველტს მიაწერენ სასიყვარულო ურთიერთობებს თავის მდივნებთან, მარგარიტა ლეჰენდთან და გრეის ტალისთან, შორეულ ნათესავთან მარგარეტ საკლისთან, ასევე, ფრენსის პერკინსთან, რომელიც მის მთავრობაში შრომის მინისტრის თანამდებობას იკავებდა, დემოკრატების ლიდერთან მოლი დიუსონთან და ნორვეგიის პრინცესა მარტასთანაც კი.

ფრანკლინ რუზველტის ყველაზე ცნობილი საყვარელი იყო ლუსი მერსერი, რომელიც ნაწილობრივ პარალიზებულ პრეზიდენტს მრავალი წლის განმავლობაში უვლიდა. ქალმა არაერთხელ შესთავაზა პრეზიდენტს, რომ ცოლს გაყროდა და ის შეერთო, მაგრამ ლუსის ოცნება ოცნებად დარჩა...

### ჯონ ფიტცჯერალდ კენედი

აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1961-1963.

ჯონ კენედის სახელს უკავშირებენ ინტიმურ ურთიერთობებს მერილინ მონროსთან, ჯეინ მენსფილდთან, ოდრი ჰეპბერნთან და ენჯი დიკინსონთან, რომ აღარაფერი ვთქვათ თეთრი სახლის მრავალრიცხოვან პრაქტიკანტებსა და მოსამსახურეებზე. პირველმა ლედიმ ჟაკლინ კენედიმ შესანიშნავად იცოდა თავისი ქმრის თავგადასავლების შესახებ, მაგრამ ოსტატურად ახერხებდა ამის დამალვას კეთილგანწყობილი ღიმილის ნიღბის უკან...

### ლინდონ ჯონსონი

აშშ-ის 36-ე პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1963-1969.

ჯონსონი თავის საყვარლებს „ჩემს ჰარემს“ უწოდებდა. 30 წლის განმავლობაში მას ცნობილი გამომცემლის ცოლთან ელის გლასთან ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა. ამბობენ, რომ აშშ-ის 36-ე პრეზიდენტი აპირებდა საყვარლის გამო ცოლის მიტოვებას, მაგრამ რომანი პოლიტიკური მოტივების გამო დასრულდა — გლასი ვიეტნამში ომისა და, საერთოდ, თეთრი სახლის მმართველის პოლიტიკური მოღვაწეობის წინააღმდეგი იყო.

### ბილ კლინტონი

აშშ-ის 42-ე პრეზიდენტი. მმართველობის წლები: 1993-2001.

ბილ კლინტონი თანამედროვე ისტორიაში ყველაზე გახმაურებული სექსსკანდალის მონაწილე გახდა. 1998 წელს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია პრეზიდენტისა და მისი სტაჟიორის მონიკა ლევინსკის ინტიმური ურთიერთობის შესახებ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სკანდალი არა ქორწინების გარეშე სასიყვარულო ურთიერთობის, არამედ იმის გამო ატყდა, რომ პრეზიდენტმა ეს კავშირი ფიცის ქვეშ უარყო.

**ბელა გველესიანი**




„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გადაბეჭდვა შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ახალგაზრდა-დასავლეთის“ სტამბაში. აღმაშენებლის 39. ტელ: 234-39-99